ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 აგვისტო 2006 №178 (2800) ფასი 50 თეთრი



კობა ინასარიძის ფოტო

დიდი მოგზაურობა როგორი თავგადასავლები?



ტოპმიოლერს ფარერებზე თვრამეტი ოფიციალური პირი მიჰყავს

ქართული გუნდებიდან მხოლოდ ერთი, დანარჩენი ყველა ლეგიონერი...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა მისთვის პირველი ოფიციალური მატჩისთვის 18 ფეხბურთელი გამოიძახა და მათგან მხოლოდ ერთია საქართველოში მოთამაშე — „ზესტაფონის" მეკარე გრიგოლ ჭანტურია, ვინც გუშინწინ 21-წლამდელთა ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა ესპანურ „ხეტაფესთან".

ტოპმიოლერი ფარერებთან ოფიციალური, თანაც სადებიუტო მატჩის წინ, ცხადია, ყველანაირ ექსპერიმენტს მოერიდა და, ტრავმირებულ კახა კალაძეს თუ არ ჩავთვლით, სადღეისოდ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებს უხმო...

შესაძლოა, დღეს კლაუს ტოპმიოლერმა ამ შემადგენლობას მიუნხენელი მცველი მათე ღვინიანიძე დაამატოს. და კიდევ: არც ისაა გამორიცხული, მწვრთნელმა სრულად ვერგამოჯანმრთელებული ოთარ მარცვალაძის ნაცვლად სხვა გამოიძახოს.

ჩვენები 13 აგვისტოს კოპენჰაგენში შეიკრიბებიან, მეორე დღიდან კი მზადებას უკვე ფარერებზე გააგრძელებენ და 16 აგვისტოს კლაუს ტოპმიოლერს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის სადებიუტო მატჩშიც ვნახავთ.

კობა ინასარიძე

მეკარეები

გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)

მცველები

ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), კახა ალადაშვილი (დნიპრო, უკრაინა)

ნახევარმცველები

ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), გოგიტა გოგუა (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)

თავდამსხმელები

ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა)

მთელი ფეხბურთი კალჩოპოლისია?

სკანდალები ქათმის გრიპივით

როდის დავეწევით თურქეთს: იქ სამი ქულა ლამის ნახევარი მილიონი დოლარი ღირს

იტალიური კალჩოპოლის ბაცილა, როგორც ჩანს, მთელ ევროპაში დიდი სისწრაფით ვრცელდება. აი, მაგალითად, თურქეთში, ადგილობრივმა ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ უნდა გამოიძიოს თავისივე მავანი თანამშრომლის საქმე, რომელიც თურმე „სამსუნსფორს" გავარდნისგან გადარჩენას პირდებოდა.

„ფედერაციის აღმასკომმა შექმნა ახალი კომიტეტი, რომელიც „სამსუნსფორისა" და „ანკარაგუჯუს" შეხვედრის ნიუანსებს გამოიკვლევს" — აი, ასე მოკლედ, მაგრამ კონკრეტულად წერია ოფიციალურ განცხადებაში.

მატჩი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 2005-06 წლების სეზონის მიწურულს გაიმართა, თუმცა თურქული პრესა ამტკიცებს, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა, ვიდრე ფეხბურთის ფედერაციის განცხადებიდან ჩანს. მასმედიას დიდი ხანია ეჭვი აქვს, რომ თურქეთში საფეხბურთო თაღლითობა უკვე წლებია, დანერგილია და მასში ქვეყნის საუკეთესო გუნდებიც კი მონაწილეობენ.

ხოლო ახლანდელი სკანდალი „სამსუნსფორის" პრეზიდენტის, ადნან ოლმეზის ერთმა ნათქვამმა შვა. პრეზიდენტმა გაზეთ „ვათანის" კორესპონდენტს უამბო, თუ როგორ შესთავაზა აპრილში მავანმა „ანკარაგუჯუსთან" შეხვედრის მოკვარახჭინება. ეს სეზონის დასრულებამდე სამი კვირით ადრე მომხდარა.

ცნობილია მავანის ვინაობაც — მეჰმეთ ჯემალ უნსალი, მესამე კაცი ფეხბურთის ფედერაციაში და „ანკარაგუჯუს" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი. ოლმეზის მტკიცებით, უნსალმა სამ ქულაში 477 ათასი დოლარი მოითხოვა და ამ საუბრისას მის გვერდით მსაჯთა მთავარი საბჭოს შეფი ბულენთ იავუზი მჯდარა. ყველაფერი ანკარის ერთ-ერთ სასტუმროში მომხდარა.

იმ შეხვედრაში „სამსუნსფორმა" „ანკარაგუჯუს" 2:1 მოუგო, მაგრამ ლიგიდან მაინც გავარდა.

„გადავდექი, რადგან ამ ნაგავს ველარ გავუძელი" — თქვა ოლმეზმა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთში ეს უკვე მეორე გამოძიებაა. ერთი თვის წინ ფეხბურთის ფედერაცია „დენიზლისფორის" საქმეში იჩხრიკებოდა. „დენიზლისფორზე" ამბობდნენ, რომ, „სამსუნსფორისა" არ იყოს, გავარდნისგან თავის დასაღწევად მანაც თამაში ჩააწყო.

ბაჩუნა ძიდია

ადნან ოლმეზმა, ამდენ ნაგავს ველარ გავუძელიო

ლომების მომთვინიერებელი შოლტით ლაპარაკობს

ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, 19 წლის მათე ღვინიანიძემ გერმანულ „მიუნხენ 1860“-თან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კლუბმაც მათეს 19-ნომრიანი მაისურა გადასცაო.

„მიუნხენ 1860“-ის მწვრთნელ ვალტერ შახნერს პირველად გუშინწინ დავუკავშირდი, მაგრამ გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალზე, „ბაიერნ“ — „შალკეს“ მატჩზე გახლდათ და მთხოვა, ეგებ, მოგვიანებით დამირეკოთო.

მოკლედ, შახნერს გუშინაც შევეხმიანე და ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ სიტყვაძუნწი და უცნაური კაცი გამოდგა....

— ჰერ შახნერ, თქვენი გუნდის ქართველ ახალწვეულზე, მათე ღვინიანიძეზე მინდა გკითხოთ...

— საკითხავი თითქმის არაფერია, ღვინიანიძე ძალიან ნიჭიერია, დიდი მომავალი აქვს და ამიტომაცაა ახლა ჩვენთან.

— როგორც ვიცით, მან უკვე გაფორმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი...

— ეს საკითხი მე არ მეხება, კლუბის მენეჯერს ჰკითხეთ.

— უცნაურია, თქვენ ხომ მთავარი მწვრთნელი ხართ...

— ხომ გეუბნებით, ეს მენეჯერის საქმეა. მე ის ვიცი, რომ ჩემთან ნამდვილად ვარჯიშობს ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც საკონტროლო მატჩები ჩინებულად ჩაატარა, მაგრამ კონტრაქტის თაობაზე არაფერი ვიცი. სჯობს, ამ საკითხზე კლუბის გენერალურ მენეჯერ შტეფან როიტერს მიმართოთ.

— კეთილი. მაგრამ ის თუ იცით, ვისი რეკომენდაციით მოვიდა „მიუნხენ 1860“-ში ღვინიანიძე?

— რა ხართ ეს ჟურნალისტები... არც ეგ ვიცი, არ მაინტერესებს.

— ჩვენ კი გავიგეთ, რომ მათეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა რალფ მინგემ შეაწია სიტყვა...

— არ ვიცი. მე მას არ ვიცნობ.

მოკლედ, სულ ეს იყო. ვალტერ შახნერთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და მეც დავემშვიდობე. მან კი ბოლოს ერთხელაც დაამატა, დამიჯერეთ, მართლა არაფერი ვიცი, ფაქტი ისაა, რომ 19 წლის ქართველით ძალიან კმაყოფილი ვარ, ის ჩინებული ფეხბურთელი რომ არ იყოს, ჩემს გუნდში საერთოდ არ ვავარჯიშებდიო.

ნინო სილაგაძე
მიუნხენიდან

ფარერები ჯერჯერობით ქაღალდებით ემზადებიან

ცოტაც და, კლაუს ტოპმიოლერს ოფიციალური დებიუტიც ექნება საქართველოს ნაკრებში — ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში 16 აგვისტოს საქართველო ფარერებს სტუმრობს.

მასპინძლები უკვე ემზადებიან საამმატჩოდ და აფიშა-პროგრამები დაუბეჭდავთ. ფარერული პრესის ცნობით, უკვე მოთხოვნაა ბილეთებზეც — იქაური ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ თამაში კუნძულზე საკმაო ინტერესს იწვევს.

ეგ არის, ფარერელი გულშემატკივარი ცოცხლად ვერ ნახავს საქართველოს ნაკრების კაპიტნისა და იტალიური „მილანის“ მცველ კახა კალაძის თამაშს, თუმც ეს ამბავი ქართველ ქომაგს უფრო უნდა აღელვებდეს. ასეა თუ ისე, ექიმებმა ერთხელ და საბოლოოდ დაადასტურეს, რომ კუნთმტკივანი კალაძე, სულ მცირე, სამი კვირა ვერ გავა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო ჯერაც გაურკვეველია კიევის დინამოელ ოთარ მარცვალაძის ამბავი — ის ბოლომდე ჯერ ვერ მომჯობინდა.

კახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

ანდრეი გუსინი უკრაინას გაეყარა

დავით მუჯირი ანდრეი გუსინს ვეღარ შეეტოქება

გუშინ სამარის „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანმა ანდრეი გუსინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინის ნაკრებში აღარ ითამაშებს. უფრო სწორად, გუსინი 15 აგვისტოს აზერბაიჯანთან ამხანაგური მატჩის შემდეგ დაემშვიდობება ნაკრებს.

„გადაწყვეტილება უკვე მივიღე. ახლა კლუბს უფრო ვჭირდები, ვიდრე ნაკრებს. ვამაყობ იმ შედეგით, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მივაღწიეთ, თუმც ჩემი წასვლა არამც და არამც არ მომხდარა ოლეგ ბლოხინის გამო. მართალია, იგი ძალიან სპეციფიკური ადამიანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის არაფერ შუაშია. მჯერა, ქომაგები ჩემს გადაწყვეტილებას სწორად გაიგებენ და პატივს სცემენ“ — განაცხადა გუსინმა, ვინც ბოლო რამდენიმე წელია, უკრაინის ნაკრებისთვის შეუცვლელი საყრდენი ნახევარმცველი იყო.

კახა შალამბერიძე

რეზო, გადმოდი კამაზიდან

რუსეთის პირველდივიზიონელი ვორონეჟის „ფაკელი“ ნაბერეჟნის ჩელნის „კამაზის“ ქართველ თავდამსხმელ რევაზ გოცირიძით დაინტერესდა. კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

შეგახსენებთ, რომ გოცირიძე „კამაზში“ თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ სამი წლის წინ გადავიდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონია და შესაძლოა, თავადაც სურდეს გუნდის გამოცვლა.

რუსული „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, „ფაკელს“ ადრეც სურდა გოცირიძის შეძენა, თუმც მაშინ ეს ინტერესი არც ისე ძლიერი იყო...

კახა შალამბერიძე

უკრაინა
ალსვენსკა. XIII ტური
იორგრიტე 1:3 ჰამარბი
კალმარი 1:2 გიოტებორგი
თასის მეოთხედფინალი
ლანდსკრონა 2:3 *გეფლე*
იოსტერსი 2:0 ვასბი

რუსეთი
პრემიერლიგა. XV ტური
ცსკა 2:1 ლუჩ-ენერგია

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი. II ტური
გენგამი 1:1 აიაჩო

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XV ტური
ჰიკ 5:0 ინტერი
ჰაკა 4:1 ვაასა

ამხანაგური მატჩები
იოკოჰამა (იაპონია) 3:0 სელტიკი (შოტლანდია)
ფერროლი (ესპანეთი) 2:1 სპორტინგი (ესპანეთი)
რეალი (ესპანეთი) 1:0 რეჯინა (იტალია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 5:1 სოსიედადი (ესპანეთი)
ლარისა (საბერძნეთი) 2:2 ესპანიოლი (ესპანეთი)
სამპდორია (იტალია) 1:0 მანტოვა (იტალია)

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ექვსთვიანი ამბავი
ალადაშვილი დინამოს დნიპროში გააგრძელებს

თბილისის „დინამოდან“ კიევის „დინამოში“ ამ ზამთარს გადასული კახა ალადაშვილი უახლოეს ექვს თვეს დნიპროპეტროვსკის „დნიპროში“ გაატარებს. კიევის „დინამო“ და „დნიპრო“ ალადაშვილის განათხოვრების თაობაზე უკვე შეთანხმდნენ. გუშინ საამისო ყველა საბუთი გაფორმდა და უკრაინის ჩემპიონატის უახლოეს ტურში ჩვენიანის დებიუტსაც უნდა ველოდოთ.

ალადაშვილმა კიევიდან წასვლა თავად ისურვა. მიზეზი მარტივია: მას „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსიც არ მისცემია. ამავდროულად კი, ის საქართველოს ნაკრების კანდიდატია და კლაუს ტოპმიოლერის გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად სწორედ რომ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. ჩვენიან ნახევარმცველს კიეველებმა ძირითადი გუნდი არც ამ მოსამზადებელი პერიოდისას აღირსეს და ისიც იძულებული გახდა, თავისი აგენტისთვის მიემართა — ახრიკ ცვეიბამ კახას ახალი გუნდი სწრაფად მოუძებნა.

„დნიპრო“ უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთი მოწინავე გუნდია, ყოველ სეზონში საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის და ევროსარბიელსაც გაშინაურებულია. „დნიპროს“ მწვრთნელი ოლეგ პროტასოვია, ვინც ფეხბურთელობისას საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე იყო.

— დნიპროპეტროვსკში ჩამოსვლისთანავე პროტასოვმა ორმხრივ მატჩში მათამაშა. „დნიპრო“ ოთხი მცველით თამაშობს და ჩემი პოზიციაც, ალბათ, მარჯვენა მცველი იქნება. ყოველ შემთხვევაში, იმ ორმხრივ მატჩში მწვრთნელმა სწორედ დაცვის ფლანგზე დამაყენა — გვითხრა გუშინ კახა ალადაშვილმა — ვფიქრობ, კარგ გუნდში მოვედი და ახლა მაინც მექნება თამაშის საშუალება. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, „დნიპროში“ უფრო დიდხანსაც დავრჩებოდი, მაგრამ ჯერჯერობით „დინამო“ და ჩემი ახალი გუნდი მხოლოდ ექვსთვიან განათხოვრებაზე შეთანხმდნენ. უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ კიევში დავბრუნდები და სამომავლო საქმეებზეც მერე ვილაპარაკებთ...

შეგახსენებთ, რომ კახა ალადაშვილს კიევის „დინამოსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს.

ქოგა ინასარიძე

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ტური

ბათუმი — ამერი
მსაჯები: კ. ქაჭუა, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე

ვიტ ჯორჯია — სიონი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ხ. გაგნიძე, ზ. ფიფია, გ. ვადაჭკორია;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

ბორჯომი — ლოკომოტივი
მსაჯები: დ. სანაია, დ. კვეტენაძე, დ. კურტანიძე, ზვ. ასკაროლლი;
დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

მერანი — ზესტაფონი
მსაჯები: მ. მაისურაძე, ბ. ქიქინაძე, ა. გუნთაძე, ლ. ფანიაშვილი;
დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი

ოლიმპი — კახეთი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, თ. ხუჭუა, ტ. არაბული, ლ. სილაგავა;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

ჩიხურა — ტორპედო
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია, დ. ხარიტონაშვილი;
დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

დინამო — დილა
მსაჯები: ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, ვ. გუმბერიძე, ა. ნონიკაშვილი;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

მესამე ტური

დილა — ბორჯომი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, კ. ტეფნაძე, ზ. ბერულავა, ი. ურუშაძე

ამერი — დინამო
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. ჯვარიძე, კ. ბერაძე, ა. კრიჭაშვილი

ტორპედო — ბათუმი
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ლომსაძე, ი. შენგელია, ვ. გუმბარიძე

სიონი — ჩიხურა
მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე, მ. მაისურაძე

კახეთი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ა. კოკაია, დ. სანოძე, ვ. ელისაბედაშვილი

ზესტაფონი — ოლიმპი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ი. უკლება, დ. გოგოლაძე, შ. ქუხილავა

ლოკომოტივი — მერანი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ასკაროლლი, ვ. ცინცაძე, ო. ხეცაძე

მეოთხე ტური

ბორჯომი — მერანი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია, კ. ჭაჭუა

ოლიმპი — ლოკომოტივი
მსაჯები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, ს. სპიცინი, გ. ვადაჭკორია

ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი
მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, ლ. თოდრია, ო. მოლოდინაშვილი

ჩიხურა — კახეთი
მსაჯები: დ. სანაია, ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

ბათუმი — სიონი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. ტეფნაძე, გ. ცირდავა, დ. ხარიტონაშვილი

დინამო — ტორპედო
მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, ბ. ქიქინაძე, ვ. ელისაბედაშვილი

დილა — ამერი
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ზ. ხუციშვილი, ა. კოკაია, მ. ბეუქლიშვილი

მეხუთე ტური

ამერი — ბორჯომი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ს. სპიცინი, ო. მოლოდინაშვილი, ზვ. ასკაროლლი

ტორპედო — დილა
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, კ. ბერაძე, დ. სანოძე, თ. ხუჭუა

სიონი — დინამო
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. ნონიკაშვილი

კახეთი — ბათუმი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. ასკაროლლი, ი. ურუშაძე, დ. კურტანიძე

ზესტაფონი — ჩიხურა
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. დოგრაშვილი, შ. ქუხილავა, ხ. გაგნიძე

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ზ. ფიფია, ა. გუნთაძე, დ. კვეტენაძე

მერანი — ოლიმპი
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ბერულავა, ტ. არაბული

მეექვსე ტური

ბორჯომი — ოლიმპი
მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, კ. გუდურაშვილი, ი. შენგელია

ვიტ ჯორჯია — მერანი
მსაჯები: კ. ჭაჭუა, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ლ. ფანიაშვილი

ჩიხურა — ლოკომოტივი
მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. ჯვარიძე, მ. ლომსაძე, ს. სპიცინი

ბათუმი — ზესტაფონი
მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. ხუციშვილი, დ. გოგოლაძე, ჯ. ბუიშვილი

დინამო — კახეთი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე

დილა — სიონი
მსაჯები: დ. სანაია, შ. ქუხილავა, ი. უკლება, ვ. ცინცაძე

ამერი — ტორპედო
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, დ. კურტანიძე, გ. ყრუაშვილი, ტ. არაბული

მეშვიდე ტური

ტორპედო — ბორჯომი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ხუციშვილი, ვ. ელისაბედაშვილი

სიონი — ამერი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე, მ. მაისურაძე

კახეთი — დილა
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. გურგენაძე, ლ. თოდრია, ო. ხეცაძე

ზესტაფონი — დინამო
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე, გ. კიკაჩეიშვილი

ლოკომოტივი — ბათუმი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ერქვანია, მ. ბეუქლიშვილი

მერანი — ჩიხურა
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, დ. სანოძე, ა. გუნთაძე

ოლიმპი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, გ. ჩიგოგიძე, თ. ხუჭუა

მისტერ ბინი ალკმაარში

შოთა არველაძეს მისტერ ბინი აიაქსელობისას დაარქვეს და შოთა „ალკმაარშიც“ წარმატებით ოხუნჯობს.

როცა 11 წლის შოთა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ შევიდა, ჯერ მეკარე იყო და ძველი ხელობა „ალკმაარის“ ვარჯიშზეც გაუხსენებია. ხოლო რამდენი ბურთი მოიგერია და გაუშვა არველაძემ ვარჯიშზე, უცნობია.

სეზონისწინა შეკრებაზე მყოფი ალკმაარელები ჯარიმების შესრულებაშიც ვარჯიშობენ და შოთა აქაც მისტერ ბინის ოინებით ერთობა — თანაგუნდელს „ფიშკა“ ჩაფხუტვით რომ დაუხურავს, ამ ჯამბაზობაში ალბათ არველაძის ხელიც ურევია...

ჩელსის შესაძლებლობის ფანჯარა მუდამ ღიაა: ფულს და ჰაერს ერთი ფასი აქვს...

ფრენკ ლამპარდი, მაიკლ ვუდსი და რომან აბრამოვიჩი

...მაგრამ: ბეიტსმა იცის, სად დაარტყას აბრამოვიჩს – ჯიბეზე არა, ცხრილში!

რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ფანჯარა, ვერ მოგახსენებთ, დანარჩენს კი გეტყვით. „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარემ, კენ-ბეიტსმა თავის ყოფილ კლუბს, „ჩელსის“ ჯერ ოფიციალურად არა, მაგრამ უჩივლა, ჩემი აკადემიის ყმაწვილები მაიკლ ვუდსი და ტომ ტაივო უკანონოდ გადაიბირაო.

ბეიტსი, რომელიც რომან აბრამოვიჩის გამოჩენამდე „ჩელსის“ მთელი 20 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა, ლონდონელებს კიდევ ერთი აღზრდილის, დენი როუზის მიტაცების სურვილსაც აბრალებს. ერთი სიტყვით, უნდოდათ სამი და შეძლეს ორი — ასეთია სურათი, რომელსაც საფეხბურთო საქმეების ტრიალში ჭიპმოჭრილი ბერიკაცი ხატავს და „ჩელსის“ მკაცრად დასჯას ითხოვს. ბეიტსის სურვილია, აბრამოვიჩისა და ჟოზე მაურინიუს გუნდი მოკვეთონ ჩემპიონთა ლიგიდან, დააკლონ ცხრა ქულა პრემიერლიგაში (სამი თითო ლიდსელი ყმაწვილის ცთუნებისთვის) და იძულებული გახადონ, ვუდსისა და ტაივოს სანაცლოდ პროფესიული ტრანსფერის სახით „ლიდსს“ 35 მილიონი დოლარის ტოლი 24 მილიონი ინგლისური გირვანქა გადაუხადოს. რაც შეეხება სიტყვას „ფანჯარა“, ის „ჩელსის“ საპასუხო განცხადებაში წერია. განცხადება ასეთია:

„შარშან, წლის ბოლოს, „ლიდსს“ სამი ფეხბურთელის თაობაზე ოფიციალურად დავუკავშირდით, მაგრამ უარი მივიღეთ, შემდეგ გამოჩნდა შესაძლებლობის ფანჯარა, რომლითაც ვისარგებლეთ — სამიდან ორმა მოთამაშემ „ჩელსიში“ გადმოსვლა ისურვა და გადმოვიდა კიდეც. რაც შეეხება ოფიციალურ საჩივარს, თუ ასეთი გამოჩნდება, ამ ტიპის საკითხების მოგვარების არსებულ ნორმებს მივმართავთ“.

ვიმეორებთ, კერძოდ რა ფანჯარაზეა საუბარი და კერძოდ რა ტექნოლოგიით „აწაპნეს“ „ლიდსს“ ორი, როგორც თავად ამბობს, მისი ფეხბურთელი, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ბეიტსი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში, ფიფასა და პრემიერლიგაში აპირებს ჩივილს.

ახლა დავაზუსტოთ, რატომ ითხოვს „ჩელსის“ ყოფილი თავმჯდომარე თავისი ყოფილი გუნდის დისკვალიფიკაციით და ქულების დაკლებით დასჯას. იმიტომ, რომ ლონდონელთა მეპატრონე გახლავთ ჩუკოტკის გუბერნატორი აბრამოვიჩი, რომლის ფულით დაჯარიმებას არანაირი აზრი არ აქვს, ხოლო თუ ფეხბურთის ასოციაცია მარიღა აჭყვება ბეიტსს და ინგლისის ზედიზედ ორგზის ჩემპიონს ცხრა ქულას დააკლებს, გამოვა, რომ „ჩელსი“ პრემიერლიგის ახალ სეზონს მინუს 12 ქულით დაიწყებს — შეგახსენებთ, რომ კლუბი არსენალელ ეშლი კოულთან მალული მოლაპარაკებების გამო სამი ქულით უკვე დასჯილია. სხვათა შორის, „ჩელსის“ ამ დანაშაულისთვის 300 ათასი გირვანქაც აქვს გადასახდელი, მაგრამ ეს თანხა აბრამოვიჩისთვის ხურდაა. 200 ათასით დასჯილია მაურინიუც, თავად კოულს კი 100 ათასით აქვს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ანგარიში შესავსები.

პაპუნა კედია

-1 22

ფიქრი წასვლაზე

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მეკარე რონალდ ვატერეუსი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ვეტერანმა გოლკიპერმა ამ ზაფხულს შოტლანდიური „რეინჯერსი“ დატოვა, რადგან გლაზგოელთა ახალი თავკაცის, პოლ ლე გუენის გეგმებში არ შედიოდა. 35 წლის ფეხბურთელი ახლა თავისუფალი აგენტია.

„რამდენიმე წინადადება გვაქვს, მაგრამ რონალდს ისინი არ აკმაყოფილებს. გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მივიღებთ. ჩემი კლიენტი მართლაც ფიქრობს კარიერის დასრულებაზე“ — თქვა ვატერეუსის აგენტმა კეის პლოეგსმა.

გამოცდილი მეკარე „რეინჯერსში“ 18 თვის მანძილზე თამაშობდა, სადაც ინგლისური „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა. იქამდე კი მრავალი წელი ჰოლანდიურ პსვ-ში გაატარა, სადაც გახდა კიდეც პოპულარული და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლებოდა. „რეინჯერსში“ ვატერეუსს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ ლე გუენმა იგი, ალბათ, ასაკის გამო აითვალწუნა.

კოკი კანდელაკი

ისევ ამერიკელი

რენდი ლერნერი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ასტონ ვილას“ ამერიკელი მილიარდერი რენდი ლერნერი უფრო იყიდის 64 მილიონ გირვანქად.

მისი მრჩევლები კვლავ ბირმინგემს ჩაფრენილან და „ვილას“ ძუნწ თავმჯდომარე დუგ ელისს ელაპარაკებიან.

გასულ კვირას, თითქოს მოლაპარაკებები შეწყდა, მაგრამ მობურთალთა გუნდ „კლივლენდ ბრაუნზის“ 44 წლის პატრონმა, რომლის ქონებაც მილიარდზე მეტია, კვლავ გამოიჩინა მოლაპარაკებების სურვილი.

ამისთვის ხელი იმასაც შეუწყვია, რომ მენეჯერობა მარტინ ონილისთვის შეუთავაზებიათ და ესეც, ელისს შეპირებია, რომ თუკი გადაწყვეტს, ეგრევე, შეკრებაზე შეურთდება გუნდს. ელისის ამ ჭკვიანურმა სვლამ გაამართლა, ვინაიდან ონილი ამერიკელსაც სურს და კლუბის ყიდვის სხვა მსურველებსაც, ინგლისელ მაიკლ ნეივილს.

მესამე შემადგენლობას, „ვილას“ რომ უმიზნებს, სვენ გორან ერიკსონი და განთქმული აგენტი ათოლ სიტილი თავკაცობენ.

ირაკლი გამყრელიძე

ტავანო ჯორდებში

„ნიუკასლს“ ნიშანში ამოუღია იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელი ფრანჩესკო ტავანო. მაიკლ ოუენის არყოფნაში, ბოს გლენ რიოდერს რიგიანი მეგოლე სჭირდება და სწორედ 27 წლის ტავანო მოსწონებია.

„ნიუკასლი“ 7 მილიონი გირვანქის გადამხდელია, ტავანოს აგენტს, სტეფანო გუერნიჩის კი უთქვამს, შეხვედრა კი მქონდა „ნიუკასლთან“, მაგრამ ჯერ ბევრი რამაა გასარკვევი.

ტავანომ შარშან 14 გოლი გაიტანა სერია A-ში და „ემპოლიმ“ უკვე იუარა „ვალენსიასა“ და „შახტარის“ წინადადებები. კლუბს 8,5 მილიონი გირვანქა სურს.

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანმა ხელები დაიბანა, ლანსმა კი დაიკბინა

ჟერვე მარტელი

ლეანდრო კანტამესა

„მილანი“ ჩემპიონთა თასზე რომ დაუშვეს, ვიცით. ახლა ის შევიტყვეთ, რა თქვა უეფას საგანგებო კომისიის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კლუბის ვექილმა ლეანდრო კანტამესამ

ფრანგებს იტალიელების დანახვაც არ უნდათ

„ვინაიდან უდანაშაულონი ვართ, საგანგებო კომისიას სხვა გზა არ ჰქონდა. ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება ჩვენი ჩემპიონთა ლიგაში დაშვება იყო და მანაც სწორედ ის მიიღო — თქვა კანტამესამ სატელევიზიო ინტერვიუში — თანაც, უდანაშაულობის მიუხედავად კლუბი ერთხელ უკვე დაისჯა, ასე რომ, მისი მეორედ დასჯა, უბრალოდ, გამორიცხული გახლდათ. ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგის თამაშზე დავიწყებთ კონკრეტულ ფიქრს“.

„ერთხელ უკვე“ დასჯაში „მილანის“ ვექილმა სერია A-ში ქულების დაკლება იგულისხმა, საერთოდ კი, მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი ეგრეთ წოდებული კალჩოპოლის სკანდალიდან მოდის — იტალიაში საფეხბურთო მაქინაციებში ჯერჯერობით ოთხი კლუბია მხილებული, „იუვენტუსი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „მილანი“. მათგან ყველაზე მკაცრად „იუვენტუსი“ დაისაჯა, რადგან თაღლითობის სისტემა მისი გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოჯის მოგონილი გამოდგა, ყველაზე ნაკლებად კი „მილანი“.

ასე და ამგვარად, შავ-წითელთა ბანაკში სიხარულია, აი, ფრანგული „ლანსის“ ბანაკში კი უეფას საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებამ გაღიზიანება გამოიწვია — საფრანგეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული კლუბი ამტკიცებდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „მილანის“ ადგილი მისთვის უნდა გადაეცათ.

„უეფას განცხადებით, „მილანი“ შეჯიბრებაში მხოლოდ იმიტომ დაუშვეს, რომ მის დასასჯელად კანონი ვერ გამოძებნეს. სად არის აქ ეთიკა? იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მილანელთა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად რაღაც უცნაური სქემა მოიფიქრა, არადა, აშკარაა, რომ სხვებზე მეტად თუ ნაკლებად სერია A-ს მაქინაციებში ეს კლუბიც მონაწილეობდა“ — განაცხადა „ლანსის“ გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა კოლადომ, კლუბის პრეზიდენტმა ჟერვე მარტელმა კი გაცეცხლებულმა დასძინა, რომ „მილანი“ კი არა, წლევანდელ ევროშეჯიბრებებში საერთოდ იტალიური გუნდი არ უნდა დაეშვათ.

ასეა თუ ისე, „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გახლავთ და იქ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ უნდა შეხვდეს.

პაპუნა კედია

ცნობილი მკერდი ინტერში დარჩა

სკანდალური იტალიელი მცველი მარკო მატერაცი კარიერას, ალბათ, „ინტერში“ დაასრულებს. მან კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა, რომელზეც მხარეები ხელს მალე მოაწერენ. შეგახსენებთ, რომ 33 წლის ფეხბურთელი „ნეროაუძრის“ მფლობელ მასიმო მორატის სამშაბათს შეხვდა და ეს ყველაფერიც სავარაუდოდ მაშინ გადაწყდა. თუმცა ორივე ირწმუნებოდა, კონტრაქტზე არ გვისაუბრიაო.

„მარკოსთვის მნიშვნელოვანი იყო, კლუბთან კონტრაქტის ტექნიკურ და ფინანსურ მხარეზე ელაპარაკა. ამიტომ იგი მორატის შეხვდა და სათქმელი უთხრა. არანაირი პრობლემა არ არის, „ნეროაძური“ ახალ, ოთხწლიან კონტრაქტზე თანახმაა და მატერაციასაც სურს, კარიერა „სან სიროზე“ დაასრულოს. მარკო მომავალ სეზონში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება, თანაც შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონის ყოლა ბევრს ნიშნავს და „ინტერმა“ ეს კარგად იცის“ — განაცხადა მატერაციის წარმომადგენელმა ვინჩენცო მორაბიტომ.

მატერაციის გასული სეზონი „ინტერში“ არცთუ წარმატებული გახლდათ და მის გუნდიდან სავარაუდო წასვლაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მუნდიალმა ყველაფერი შეცვალა. მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი თამაშის შემდეგ, „ნეროაძურიმ“ მისი შენარჩუნება მოინდომა და თავად ფეხბურთელსაც დარჩენა სდომებია. მიუხედავად იმისა, რომ ვეტერან მცველს არაერთი მსურველი ჰყავდა, მადრიდის „რეალის“ ჩათვლით.

ამჟამად მოქმედ კონტრაქტს ვადა 2009 წელს გასდის, თუმცა ახალი შეთანხმება მატერაციის „სან სიროზე“ 2010 წლამდე დატოვებს, თანაც მისი ხელფასი ცოტათი გაიზრდება.

„დიდი სურვილი გვქონდა, მატერაციისთვის კონტრაქტის პირობები გაგვეუმჯობესებინა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან მუნდიალზე კარგად ითამაშა. პირველ რიგში იმის გამო, რომ მას ყოველთვის „ინტერში“ სურდა თამაში და კლუბისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს“ — თქვა „ნეროაძურის“ ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ.

გიორგი კაკაბაძე

იცით, რა მოიფიქრა ჩინელმა ჟაო შიაოკაიმ? 2 ათას იენად, რაც 250 დოლარის ტოლფასია, ზინედინ ზიდანის მიერ მარკო მატერაციის თავური ცემის სილუეტი სავაჭრო ნიშნად დაარეგისტრირა.

„ეს იდეა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიდან ორი დღის შემდეგ მომივიდა აზრად — უთხრა ერთ-ერთ ჩინურ სპორტთან დაკავშირებული ფირმის გენერალურმა მენეჯერმა, შიაოკაიმ გაზეთ „პეკინ დეილის“. თურმე ნუ იტყვით და, ამ საზრიან მენეჯერთან უკვე მისულა ორი ლუდის მწარმოებელი კომპანია, მაგ სილუეტზე უფლებები მოგვყიდეო. თან, დახეთ რა ხდება — ასეთი, სილუეტური ფორმის გამოყენება თურმე საკუთრივ ზიდანის იმიჯის უკანონო გამოყენებად არ ჩაითვლება, სხვა სიტყვებით, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ფული არ ერგება.

პაპუნა კედია

მსაჯთუხუცესი

სერია A-სა და სერია B-ს მატჩებზე მწვრთნელებს ამიერიდან სტეფანო ტედესკი დანიშნავს. მოგეხსენებათ, მისი წინამორბედების — პიერლუიჯი პაიერეტოსა და მაურიციო მატეის რეპუტაცია მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულმა სკანდალმა შეარყია და მათი მოხსნა გამოიწვია.

იტალიაში მაქინაციები და ჩაწყობები სწორედ არბიტრებისა და სამსაჯო კომიტეტის ხელშეწყობით ხდებოდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ამ სტრუქურაში პატიოსანი ხალხი მუშაობდეს.

ტედესკის დანიშვნის ამბავი ლუიჯი ანოლინმა გამოაცხადა, რომელიც სტრუქტურაში სამსაჯო კომიტეტისთვის ღირსებისა და ნდობის აღსადგენად მიიყვანეს. ანოლინი და ტედესკი პატიოსნებით არიან ცნობილნი.

„გვესმის, რომ რთულ დროს ვიბარებთ საქმეს, მაგრამ ამისთვის მზად ვართ. ჩვენი გუნდი ძლიერია და რაც შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სამსაჯო კომიტეტისა და მსაჯების პატიოსნებაში ეჭვი აღარავინ შეიტანოს და ყოველგვარი გარიგებები თავიდან ავიცილოთ“ — აღნიშნა ტედესკიმ.

კოკი კანდელაკი

ველურო, ეს ხომ ფეხბურთია!



„მე მას მსაჯივით წითელი ბარათი ვუჩვენე და მოედნიდან გავაგდე. აბა რა უნდა მექნა, არანორმალურად იქცეოდა“ — თქვა ფაბიო კაპელომ გრავესენზე.

დანიელმა „კაციჭამიამ“ ავსტრიულ ირდნინგში გუნდის ვარჯიშის დროს რობინიოს ლამის ფეხი მოამტვრია, ხოლო როცა ტკივილითა და გრავესენის დაუნდობლობით გაცოფებულმა ბრაზილიელმა მუშტი უთავაზა, დანიელს კინაღამ „შემოაჭამა“ „რეალის“ ყმაწვილი ფორვარდი... „ტომასი თავისებური ფეხბურთელია, ბოლო დრომდე მისგან პრობლემები არ გვექმნებოდა, თუმცა ახლა უხეშობის ყველა ზღვარს გადასცდა. „რეალს“ არაფერი გაუჭირდება გრავესენის გარეშე“ — განაცხადა სამეფო თეთრების მწვრთნელმა კაპელომ.

მადრიდში „ელ ოგროდ“ (კაციჭამია) მონათლული გრავესენი მართლაც გაველურდა ამ ბოლო დროს. ვარჯიშებზე თანაგუნდელებს ეჩხუბება, იგინება, ფოტორეპორტიორებს წყლის ბოთლებს ესვრის და ღმერთმა უწყის, კიდევ რას აკეთებს. კაპელომაც, ეტყობა, ხელი ჩაიქნია დანიელზე და ამიტომაც თქვა „რეალს“ მის გარეშე არაფერი გაუჭირდებაო... „ელ მუნდო დეპორტივომ“ კი კარიკატურა გამოჭიმა „რეალის“ სკანდალურ ამბავზე — „გრავესენ, ფეხბურთი, ჩვენ აქ ფეხბურთში ვვარჯიშობთ!“ — ეუბნება მოკრივის ხელთათმანებიან დანიელს იტალიელი მწვრთნელი. იქვეა სახედალილავებული რობინიოც...

სავარაუდოდ, ვიკინგს ისევ ინგლისურ პრემიერლიგაში, კერძოდ, „ნიუკასლში“ დააბრუნებენ. „ტომასს მადრიდის „რეალში“ დარჩენა სურდა, მაგრამ ამ კლუბის უფროსობა სადღაც სხვაგან იყურება. გრავესენი მხოლოდ 30 წლისაა და „ნიუკასლში“ გადასვლის იდეაც ძალიან მოსწონს“ — თქვა „ასთან“ საუბარში გრავესენის აგენტმა იონ სივებაკმა.

ლადო ხომერიკი

ელიზონდომ პრეზიდენტს წითელი აჩუქა

ორასიო ელიზონდო ისტორიაში პირველი არბიტრია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნით და ფინალურ მატჩებზე იმსაჯა. ამას წინათ არგენტინელი მსაჯი მისი ქვეყნის პრეზიდენტმა კირჩნერმა მიიღო და გაზეთებმაც უმალ გაუვრცელეს ხმა — სენიორ პრეზიდენტმა ელიზონდოს არგენტინის მთავრობაში რაღაც დიდი თანამდებობა შესთავაზაო.

„მსგავსი არაფერი ყოფილა. პრეზიდენტმა და მე მარტო ფეხბურთზე და განვლილ მუნდიალზე ვილაპარაკეთ. ნესტორ კირჩნერი ფეხბურთის და არგენტინის ნაკრების დიდი გულშემატკივარია. მან სინანული გამოთქვა, რომ ჩვენი გუნდი ტურნირიდან ნაადრევად გავარდა“ — უთხრა ელიზონდომ ჟურნალისტებს.

გერმანია 2006-ის მთავარი მსაჯი არგენტინის ჩემპიონატში თავის საქმეს კვირას დაუბრუნდება, როცა იქაური აპერტურას პირველ ტურში „ლანუსის“ და „რივერ პლეიტის“ შეხვედრას განსჯის.

არგენტინის პრეზიდენტს კი ფეხბურთთან ერთად ხუმრობაც ჰყვარებია. ორასიო ელიზონდომ კირჩნერს საჩუქრად ის წითელი ბარათი მიართვა, რომლითაც მუნდიალის ფინალში მატერაცის დამნოკაუტებელი ზიდანი გააგდო. ქვეყნის მეთაური მცირე ხნის წინ, არგენტინულმა პრესამ არასწორი საგარეო პოლიტიკისთვის გააკრიტიკა. ჰოდა, ნესტორ კირჩნერმაც არბიტრთან შეხვედრაზე კამერამომარჯვებულ მედიას წითელი ბარათი აუფრიალა...

ლადო ხომერიკი

ზიზინიოვიჩი

„ბარსელონა“ უკვე მექსიკაშია, მონტერეიში, და იქაურ გულშემატკივრებს ჭკუიდან შლის. გუშინ კატალონიურმა გრანდმა მონტერეის სტადიონზე ივარჯიშა. ფრანკ რაიკარდის ბიჭების წვრთნას 35 ათასი ადგილობრივი ინჩასი დაესწრო.

ერთსაათიანი ვარჯიშის დროს ფანებმა განსაკუთრებული ოვაციებით მექსიკის ნაკრების კაპიტანი რაფაელ მარკესი, რონალდინიო და ასევე მექსიკელი, „ბარსას“ ახალგაზრდული გუნდის ლიდერი ჯოვანი დოს სანტოსი დაჯილდოვეს... დოს სანტოსი ზიზინიოს შვილია, რომელმაც მექსიკის მოქალაქეობა მიიღო. იგი ერთადერთია ახალგაზრდული გუნდიდან, რომელიც კატალონიურმა გრანდმა სასეზონთაშორისო ტურნეში წაიყვანა. ამ ბიჭმა დანიაში უკვე მოასწრო თავის გამოჩენა, ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ულამაზესი გოლი შეაგდო. „ჯოვანის უფრო მეტი სივრცე და სათამაშო დრო სჭირდება. თუ რაიმემ ხელი არ შეუშალა, ცოტა ხნის შემდეგ იგი „ბარსას“ ძირითადი გუნდის ვარსკვლავი გახდება“ — ეს სიტყვები მეორე ახალგაზრდა, თუმც უკვე სახელგანთქმულ ბარსელონელს, ლეო მესის ეკუთვნის. სხვათა შორის, ესპანური მედია ჯოვანი დოს სანტოსს თამაშის სტილით ყველაზე მეტად სწორედ არგენტინელს ადარებს.

ლადო ხომერიკი

მეზობლის კაცს ხელს ნუ ახლებ

რობერტო ფაბიან აიალა „ვალენსიას“ შორდება. ოთხშაბათს საღამოს არგენტინელი „ღამურათა“ პრეზიდენტ ხუან სოლერს შეხვდა და განუცხადა, რომ „ვალენსიასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. აიალას კლუბთან ხელშეკრულება 2007 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს, თუმცა ფეხბურთელს ახალ გუნდში გადასვლა სურს. „ვალენსიას“ კი ამ ზაფხულს ბოლო შანსი ექნება იმისა, რომ პატაგონიელის ტრანსფერში ფული მიიღოს.

„მესტალიას“ მცველის მიზანი „ვილიარეალში“ გადასვლაა. „ყვითლები“ ხუან სოლერს, აიალას სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს სთავაზობენ, თუმცა ვალენსიელთა თავკაცობა აიალას, პრიმერადივიზიონში და მით უმეტეს, მეზობელ და მეტოქე „ვილიარეალში“ გადაბარგებას ეწინააღმდეგება. სენიორ სოლერმა თქვა, აიალას მაშინ გავუშვებთ, თუ მისი შეძენით რომელიმე უცხოური გუნდი დაინტერესდებაო.

არგენტინელი მობურთალის აგენტი გუსტავო მასკარდი კი ამბობს: „აიალა „ვალენსიასთან“ კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებს. მას ამ კლუბის დატოვება უნდა“. ესპანური მედიის ცნობით, „ვალენსიასა“ და „ვილიარეალს“ შორის მოლაპარაკება ახლაც მიმდინარეობს.

„ღამურათა“ სხვა მოთამაშე, მარკო კანეირა კი ლისაბონურ „სპორტინგში“ გადავიდა ხუთწლიანი ივარით. პორტუგალიელი „სპორტინგში“ 2011 წლამდე დარჩება. 27 წლის კანეირა ლისაბონელებთან ერთად საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში მიიღებს მონაწილეობას.

ლადო ხომერიკი

ულიეს რეკორდი უნდა

დიდი ევროპული ხუთეულის — იტალია, ესპანეთი, ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი — გუნდებიდან, რომელს მოუგია ზედიზედ ექვსჯერ ჩემპიონატი? „ლიონის“ მწვრთნელი ჟერარ ულიე ამბობს, რომ ჯერ არავის, მაგრამ პირველი მისი გუნდი იქნება ანუ „ლიონი“ 2006-07 წლების ჩემპიონი გახდება და მიჯრით ექვსჯერ გაპირველებით რეკორდს მიითვლის. ასრულდება თუ არა ულიეს წინასწარმეტყველება, სეზონის ბოლოს შევიტყობთ, მაგრამ ფაქტია, რომ „ლიონი“ კვლავაც ფავორიტია ჩემპიონატისა, რომელიც დღეს იწყება.

ლიონი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ჩემპიონების საზაფხულო შენაძენიდან უნდა გამოვარჩიოთ მცველი სებასტიან სკილაჩი, რომელიც „მონაკოდან“ გადაიყვანეს და ნახევარმცველები: კიმ კალსტრიომი (რენი) და ჟერემი ტულალანი (ნანტი). გუნდის ისედაც ძლიერი შუა ხაზი კიდევ უფრო გაძლიერდა. მართალია, ფორვარდები ვერ დაიმატეს, მაგრამ ნორვეგიელი კარეუ და ბრაზილიელი ფრედი ჰყავთ. ფრედიმ წინა სეზონში 14. გოლი გაიტანა.

ბორდო

მწვრთნელი: რიჯარდო

ბრაზილიელმა რიკარდომ გუნდი შარშან ზაფხულში ჩაიბარა და თავიდან ისე ჩანდა, თითქოს „ლიონს“ საჩემპიონოდ შეებრძოლებოდა, მაგრამ საბოლოოდ. ულიემ ბრაზილიელი 15 ქულით ჩამოიტოვა. ჟირონდელთა შენაძენიდან აღსანიშნავია იოან მიკუ. ფრანგი ნახევარმცველი „ვერდერიდან“ სამშობლოში დაბრუნდა და აშკარად მოუხდება „ბორდოს“ ნახევარდაცვას. იგი ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად ითვლებოდა. „ვერდერში“ კი სწორედ „ბორდოდან“ გადავიდა ხუთი წლის წინ. ჟირონდელები, ალბათ, შეძლებენ „ლიონთან“ საჩემპიონოდ ჭიდაობას. აქვე ვთქვათ, რომ წინა სეზონში „ბორდოს“ საუკეთესო დაცვა ჰყავდა — 38 მატჩში მხოლოდ 25 გოლი გაუშვა.

ლილი

მწვრთნელი: ჯლოდ ჰუელი

„ლილმა“ წინა სეზონის მეორე ნახევარში საუცხოოდ ითამაშა, მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. ეს გუნდი ბოლო წლებში სტაბილურად გამოდის ევროთასებზე და ალბათ, ახლაც იგივე მიზანი ექნება. „ლილი“ კარგი დაცვით გამოირჩევა. წინა ჩემპიონატში საკუთარ მოედანზე 19 მატჩში მხოლოდ 7 გოლი გაუშვა. შეგახსენებთ, რომ გასული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თვით „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცა შინ. ლილელებმა შეიძინეს ბრაზილიელი მცველი ბოსტოსი „ატლეტიკო პარნაენსედან“ და გვინეელი ფორვარდი სულეიმან იოულა „ბეშიქთაშიდან“.

ლანსი

მწვრთნელი: ფრანსის გილიო

გასულ სეზონში მეოთხეზე კი გავიდა, მაგრამ ამ ზაფხულს ორი მთავარი მოთამაშე გაყიდა. მცველი ბენუა ეკოტი „ტოტენჰემში“ გადავიდა, ხოლო ფორვარდი პიერ ალენ ფრო პსჟ-ში. ალბათ გაუჭირდება კვლავაც ოთხეულში მოხვედრა. მით უმეტეს, რომ გაშვებული ფეხბურთელების დონის მოთამაშეები ვერ შეიძინა. „პორტსმუთიდან“ მცველი გრეგორი ვინიალი წამოიყვანა, ხოლო მეორე დივიზიონში გავარდნილი „სტრასბურიდან“ ნახევარმცველი სიდი კეიტა დაიმატა.

მარსელი

მწვრთნელი: ალბერ ემონი

მარსელელებმა მთავარი პრობლემა მოგვარეს — ნაკრების ნიჭიერი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი დატოვეს. წინა სეზონი გუნდმა აშკარად ჩააგდო და ევროთასებზე ვერ მოხვდა. მწვრთნელი ჟან ფერნანდესი წავიდა და იგი, თანაშემწე ალბერ ემონმა შეცვალა. „მარსელში“ გადავიდა ფეხმოტეხილი ჯიბრილ სისე, რომელიც, ალბათ, სექტემბრის ბოლოს დაიწყებს თამაშს. მარსელებმა ცნობილი ფეხბურთელებიდან გადაიბირეს აგრეთვე ფორვარდები: ტოიფილუ მაულიდა, პეგი ლუინდულა და ნახევარმცველი ჰაბიბ ბამოგო „ნანტიდან“. ამ შემადგენლობით, ჩემპიონობაზეც გაიქაჩოს.

ოსერი

მწვრთნელი: ჟან ფერნანდესი

წინა სეზონში გუნდს ჟაკ სანტინი თავკაცობდა,მაგრამ კლუბის პატრონმა ცნობილი მწვრთნელისგან სასურველი შედეგი ვერ მიიღო. „ოსერი“ მეშვიდე ადგილზე გავიდა და სანტინი ფერნანდესმა შეცვალა. ალბათ, ამ სეზონშიც ვერ მოწყვეტენ ვარსკვლავებს ოსერელები. მათი შენაძენებიდან ოდენ ერთია გამოსარჩევი: ფორვარდი დანიელ ნიკულაე ბუქარესტის „რაპიდიდან“.

რენი

მწვრთნელი: პიერ დრეოსი

ლასლო ბოლონის აწყობილი გუნდი ამ ზაფხულს „დაიშალა“. რუმინელი თავკაცი „მონაკოში“ გადავიდა და იგი დრეოსიმ შეცვალა. რენიდან წავიდა სამი მთავარი ფეხბურთელი. ნახევარმცველი იოან გურკუფი „მილანში“ გადაბრძანდა, კიმ კალსტრიომი „ლიონში“, ხოლო მთავარმეგოლე ალექსანდრ ფრეი — დორტმუნდის „ბორუსიაში“. ახალწვეულებიდან კი აღვნიშნოთ ნახევარმცველი ბრუნო შეიერუ და ფორვარდი დანიელ მორეირა.

ნიცა

მწვრთნელი: ფრედერიკ ანტონეტი

მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, მერვე ადგილზე გავიდა, რაც ერთგვარ მოულოდნელობა იყო. ანტონეტი იმედოვნებს, რომ ამ სეზონშიც ზედა ათეულში მოხვდება. გუნდი ორი ფორვარდით გაძლიერდა. დავით ბელიონი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დაიმატეს, მეტ მუსილუ კი „ლილიდან“.

ჰარი სენ ჟერმენი

მწვრთნელი: გი ლაჟომბი

გასული სეზონი დედაქალაქური კლუბისთვის ბოლო წლებში ერთ-ერთი უცუდესი იყო. გაზაფხულზე პსჟ-ს ახალი პატრონი გამოუჩნდა — ბიზნესმენი ალენ კაიზაკი, თუმც მასაც არ გაუფანტავს ფულები ვარსკლავების შესაძენად. პარიზელებმა იყიდეს კარგი მეკარე მიკაელ ლანდრი „ნანტიდან“, მცველი სამი ტრაორე „ნიცადან“ და კოტდივუარელი ფორვარდი დიანე „სტრასბურიდან“. ყველა რგოლში თითო ფეხბურთელი დაიმატეს. ლაკომბი გამოცდილი მწვრთნელია და უნდა ვივარაუდოთ, რომ საჩემპიონოდ ბრძოლას შეძლებს.

მონაკო

მწვრთნელი: ლასლო ბოლონი

ლასლო ბოლონიმ შეცვალა იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინი, რომელმაც ვერ გაამართლა. „მონაკო“ სამი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო და მაშინ მწვრთნელად დიდე დეშანი ჰყავდა, მაგრამ მას მერე დაჩაჩანაკდა და წინა სეზონში ჩემპიონატში მეათე ადგილზე გავიდა. ამიტომაც გაუშვეს გვიდოლინი. გუნდიდან წავიდა კრისტიან ვიერი და ხავიერ ჩევანტონი, მაგრამ შეინარჩუნეს მარკო დი ვაიო. სამთავროს კლუბმა იყიდა გიგანტი ფორვარდი იან კოლერი, ხოლო მოჰამედ კალონი „ალ იტიჰადიდან“ დაბრუნდა.

ლე მანი

მწვრთნელი: ფრედერიკ ჰანცი

გუნდი შარშან აღზევდა უმაღლეს დივიზიონში და ადგილი შეინარჩუნა. მე-11 ადგილი მართლაც კარგი შედეგი იყო დებიუტანტისთვის. ჰანცი კი უცნაურობებით გამოირჩევა. იგი თურმე დაბნელებულ ოთახში უტარებს თეორიულ გაკვეთილს ფეხბურთელებს, უფრო კონცენტრირებულნი იქნებიანო. მწვრთნელს სურს, რომ „ლე მანი“ კიდევ სამი წლით მაინც დატოვოს ზედა ეშოლონში, რადგან 2008-ში ახალი სტადიონის მშენებლობა მთავრდება.

ნანსი

მწვრთნელი: პაბლო ჯორეა

ნანსელები მეთორმეტეზე გავიდნენ, მაგრამ ბოლო 28 წლის განმავლობაში პირველი ჯილდო მოიგეს. ლიგის თასის ფინალში „ნიცა“ დაამარცხეს. კორეამ შემადგენლობა შეინარჩუნა და ამბობს, რომ მისი გუნდი ქვედა დივიზიონში არ უნდა გავარდეს.

სენტ ეტიენი

მწვრთნელი: ივან ჰაშეკი

„მწვანეებს“ 1981 წლის შემდეგ ერთი ჯილდოც კი არ მოუგიათ და შეეცდებიან, ტრადიცია ამ სეზონში მაინც დაარღვიონ. გუნდმა იყიდა არგენტინელი ნახევარმცველი დანიელ ბილოში „ბოკა ხუნიორსიდან“ და ფორვარდი ილანი „სოშოდან“.

ნანტი

მწვრთნელი: სერჟ ლე დიზე

„ნანტი“ ის გუნდია, რომელმაც 2001-ში მოიგო ჩემპიონატი და მას შემდეგ „ლიონი“ გამეფდა. სწორედ ესენი ხვდებიან დღეს პირველ ტურში. ნანტიდან წავიდა მეკარე მიკაელ ლანდრი და მას სერბი ვლადიმირ სტოიკოვიჩი შეცვლის. გუნდმა შეიძინა ორი ძლიერი ნახევარმცველი: ნურედინ ბუხარი „აიაქსიდან“ და კრისტიან ვილჰელმსონი „ანდერლეხტიდან“.

სოშო

მწვრთნელი: ალენ პერენი

საფრანგეთის ლიგის თასის (2004) მფლობელმა წინა სეზონი ჩააგდო. ახლა გუნდს პერენი გაწვრთნის, რომელსაც „მარსელში“ და „პორტსმუთში“ უმუშავია. მან დომინიკ ბიჟოტა შეცვალა და ეცდება, რომ „სოშო“ ძლიერ გუნდად აქციოს. სოშოელებმა იყიდეს მცველი ჟერემი ბრეშე, ნახევარმცველი ჟერომ ლეროი და ფორვარდები: სლოვენიელი ვასია ბირსა და ბრაზილიელი ალვარო.

ტულუზი

მწვრთნელი: ელი ბოპი

ტულუზელები იმედოვნებენ, რომ ელი ბოპი გუნდს წელში გამართავს. კლუბის შენაძენთაგან გამოსარჩევია ბრაზილიელი ნახევარმცველი ფაბიანო და შვედი ფორვარდი იოჰან ელმანდერი.

ტრუა

მწვრთნელი: ჟან მარკ-ფურლანი

წინა სეზონში ძლივს გადაურჩნენ გავარდნას, მაგრამ გუნდი ვერ გაძლიერეს და ისევ დარჩენისთვის ბრძოლა მოუწევთ.

ვალანსიენი

მწვრთნელი: ანტუან ჯომბუარე

13-წლიანი განშორების შემდეგ ჩრდილოელები უმაღლეს დივიზიონში აღზევდნენ. გახსოვთ, ალბათ, რომ სწორედ „ვალანსიენმა“ გაყიდა თამაში „მარსელთან“ 1993-ში, რისთვისაც მესამე დივიზიონში უკრეს თავი. შემდეგ მოყვარულებშიც კი გადაინაცვლა, მაგრამ შეძლო და დაბრუნდა.

ლორიანი

მწვრთნელი: ჯრისტიან გურკუფი

უმაღლესი დივიზიონიდან ოთხი წლის წინ ჩაქვეითებული „ლორიანი“ უძლიერესთა შორის კრისტიან გურკუფმა დაბრუნა. ეს კაცი იოან გურკუფის მამა, რომელიც ამ ზაფხულს „მილანში“ გადავიდა და ძალიან აქებენ.

სედანი

მწვრთნელი: სერჟ რომანო

უფულობის გამო „სედანმა“ ვერ შეძლო გუნდის გაძლიერება და ამიტომაც თქვა რომანომ, მთავარია, ამ სეზონში არ გავვარდეთო.

რატომ ბრაზობს მაგენი?

უეფამ ისრაელის კლუბებს მოსთხოვა ევროტურნირებზე საშინაო მატჩები ნეიტრალურ სტადიონზე ჩაატარონ. ეს ებრაელებს ფრიად არ ესიამოვნათ.

„უეფას გადაწყვეტილება პოლიტიკურ იდეებს უკავშირდება. საქმეს ანტისემიტიზმის სული უდის“ — განაცხადა „ბნეი იეჰუდას“ პრეზიდენტმა ჰეზი მაგენმა. მის გუნდს სოფიის „ლოკომოტივთან“ თამაში კიევში მოუწევს. თელ ავივის „ჰაპოელიც“ უკმაყოფილოა — ამ კლუბს ჰოლანდიაში წასვლა ელის სლოვენიურ „დომჟალესთან“ შესახვედრად.

„მას შემდეგ, რაც უეფამ ისრაელში მატჩების გამართვა აგვიკრძალა, აქ კალათბურთში საევროტურნირო თამაშები ჩატარდა და მონაწილეებს და მაყურებლებს ფრჩხილიც არ წამოსტკივებიათ“ — ჩივის ბატონი მაგენი. „იეჰუდას“ პრეზიდენტის აზრით, უეფა ისედაც სუსტ ებრაულ კლუბებს მთლიანად ჩაძირვას უპირებს. არადა, ამ დროს ისრაელ-ლიბანს შორის გახურებული ომია და უეფაც ზედმეტად რისკს ერიდება...

ლადო ხომერიკი

დანია

სუპერლიგა

გადადებული მატჩი

ვაილე 1:3 ოდენსე

ოლბორგი	3	3	0	0	9:2	9
ბრონდბიუ	3	2	1	0	5:3	7
ნორდსიელანდი	3	2	0	1	7:2	6
კოპენჰაგენი	2	2	0	0	5:1	6
ესბიერგი	3	2	0	1	5:3	6
მიდტიულანდი	3	1	2	0	3:2	5
ოდენსე	3	1	1	1	4:4	4
რანდერსი	2	1	0	1	1:5	3
ჰორსენსი	3	0	1	2	2:4	1
ვიბორგი	3	0	1	2	3:6	1
სილკებორგი	3	0	0	3	2:7	0
ვაილე	3	0	0	3	2:9	0

შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

ჰეკენი 0:2 გაის

ჰამარბი	12	8	2	2	22:13	26
ელფსბორგი	12	6	5	1	20:10	23
აიკ	12	6	4	2	22:13	22
მალმიო	12	6	3	3	19:13	21
იურგორდენი	12	5	5	2	15:10	20
გიოტებორგი	11	5	4	2	17:10	19
კალმარი	11	5	2	4	16:11	17
გაის	13	4	4	5	13:17	16
გეფლე	12	4	3	5	12:18	15
ჰელსინგბორგი	12	3	5	4	16:17	14
ჰალმსტადი	12	2	5	5	7:12	11
ჰეკენი	13	2	4	7	12:20	10
იოსტერსი	12	1	3	8	6:23	6
იორგრიტე	12	0	5	7	10:20	5

ნორვეგია

ტიპელიგა. გადადებული მატჩი

ლილესტრიომი 2:0 ბრანი

ბრანი	15	9	4	2	24:14	31
ლილესტრიომი	14	7	4	3	24:17	25
რუსენბორგი	15	6	6	3	22:16	24
სტაბეკი	15	5	7	3	23:17	22
ოდგრენლანდი	15	5	7	3	21:17	22
სანდეფიორდი	15	6	3	6	21:24	21
ვოლერენგა	15	5	4	6	19:18	19
ჰამ კამი	15	5	3	7	22:20	18
ლინი	14	5	3	6	14:17	18
სტარტი	15	4	6	5	14:18	18
ვიკინგი	15	4	5	6	13:17	17
მიოლდე	15	5	2	8	17:24	17
ფრედრიკსტადი	15	4	4	7	19:27	16
ტრომსიო	15	3	4	8	14:21	13

ბედზე გამარჯვება

...იმ ზაფხულს, სამშობლოში ყოფნისას ჩემს აგენტს „ბარსელონაში“ დარჩენის სურვილი ვამცნე და მის პროფესიონალიზმს ვენდე ამ საკითხის მოსაგვარებლად. ბარსელონულ ამბავს ტელეფონის საშუალებით ვიგებდი. და აი, დადგა დრო, როცა თეატრალური წარმოდგენის ყველა მონაწილეს სცენაზე გამოსვლა მოუწია. კლუბის თავკაცებმა პირველსავე შეხვედრაზე აღგვითქვეს, რომ ჩვენს ინტერესებს დაკმაყოფილებდნენ. შეგახსენებთ, ამას წინ რა მოვლენებიც უძღოდა — კლუბში პრეზიდენტის შეცვლა, ლუიშ ფიგუს მადრიდის „რეალში“ გადასვლა, მწვრთნელ ლუის ვან გაალის დათხოვნა და მის ნაცვლად ლორენცო სერა ფერერის დანიშვნა...

სანამ საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობდა, არც მოქმედ პრეზიდენტთან და არც მის მოწინააღმდეგეებთან, ხუან გასპართან და ლუის ბასატთან, დაკავშირება არ მიცდია. არჩევნების შემდეგ კი სიტუაციას ჩემს გარშემო უცბად ნათელი მოეფინა და მხოლოდ დეტალებზე შეთანხმებაღა იყო საჭირო.

მინდა, აღვნიშნო, რომ რეალურ ცხოვრებაში პრეზიდენტი და ფეხბურთელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ურთიერთობენ: კონტრაქტის პირობების განხილვის დროს. ნუნიესთან და გასპართან რანაირი დამოკიდებულებაც არ უნდა მქონოდა, კომენტარებისგან მაინც თავს ვიკავებდი (ბრაზილიელი ჟურნალისტების მიერ ჩემი „წამების“ მიუხედავად). რივალდოს ნათქვამი ერთი სიტყვაც კი უმალ ჩაფრინდებოდა ბრაზილიიდან ბარსელონაში და ვინ იცის, იქნებ არჩევნების შედეგებზეც ემოქმედა... თან მაშინ არც ერთი პრეტენდენტის უპირატესობა არ იყო გამოკვეთილი. არ გაგიკვირდეთ, შეშლილ საფეხბურთო სამყაროში ამდენხნიანი ცხოვრების შემდეგ მეც ამ სამყაროს იერარქიის ნაწილად ვიქეცი.

თუმცა დადგა დრო, რივალდოც დაბრუნებულიყო „ბარსელონაში“. აქ კი მოგზაურთა და თავგადასავლის მაძიებელთა უმრავლესობის მსგავსად, უცებ გადადებულ რეისებსა და მარშრუტების შეცვლაზე დამოკიდებული გავხდი. არაფერი არ დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ ლორენცო სერა ფერერთან დამერეკა და ჰოლანდიურ შეკრებაზე ჩემი დაგვიანების ამბავი წინასწარ შემეტყობინებინა. ეს ძალიან არასასიამოვნო საქმეა: სერას ადრეც ვთხოვე, რამდენიმე დღე დაემატებინა ჩემი არდადეგებისთვის, მუხლის ტრავმის მოსარჩენად მეტი დრო იყო საჭირო...

შვებულებაში გასვლამდე გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა ვან გაალმა გამოაცხადა, რომ ყველა ფეხბურთელი გუნდში 27 ივლისს უნდა დაბრუნებულიყო, რათა მომდევნო დღეს სეზონთაშორისის ტურნეზე ჰოლანდიაში წავსულიყავით. ვან გაალი უკვე აღარ იყო ჩვენი დამრიგებელი, მაგრამ დოკუმენტი თავის ძალას არ კარგავდა. ალბათ ლოგიკურია, სერას პირველ მიმართვაში დაბრუნების ვადის შეცვლა რომ ვთხოვე. ფიზიკურად არ შემეძლო ადრე დათქმულ დროს „ბარსელონაში“ დაბრუნება: ბრაზილიის ნაკრები „ესტადიო მორუმბიზე“ თამაშს 21.50-ზე იწყებდა, უახლოესი რეისი კი 0.30-ზე იყო. ხოლო სტადიონიდან აეროპორტამდე მისვლას ნახევარ საათზე მეტი დრო სჭირდებოდა. თუ მატჩის ბოლომდე ვითამაშებდი, თვითმფრინავს ვეღარ მივუსწრებდი.

ღმერთს მადლობა, ვან გაალის წინაშე ახსნა-განმარტებებიდან მაინც თავისუფალი ვიყავი. ფერერმა ნება დამრთო, ბრაზილიაში რამდენიმე დღით კიდევ გავჩერებულიყავი. მეტიც, ახალმა მწვრთნელმა, რომელიც ჩემს გასაჭირს კარგად იცნობდა, საჭიროდ ჩათვალა, რივალდო „ბარსაში“ საკონტრაქტო საქმეების მოგვარებამდე არ უნდა დაბრუნდესო. ფერერს, რა თქმა უნდა, აწყობდა, რომ როცა „კამპ ნოუზე“ ჩამოვიდოდი, მარტო „ბარსელონას“ მოგებაზე მეფიქრა და არა იმაზე, კონტრაქტში რას ჩამიწერდნენ. ბოლოს და ბოლოს, რა საჭიროა ჰოლანდიაში წასვლა, როდესაც ჯერ ისიც კი არ იცი, კლუბში რჩები თუ არა...

თავად გუნდის ახალარჩეული პრეზიდენტი გასპარიც არ აჩქარებდა ჩემს ვარჯიშზე დაბრუნებას. მას საარჩევნო დაპირებების სწრაფად მოგვარება და რივალდოს კონტრაქტზე სერიოზული მუშაობა სურდა.

იძებნება რივალდო...

კალენდარი 1 აგვისტოს უჩვენებს. ჩემთან დაკავშირებული ვერსიები მრავლდება და სულ უფრო და უფრო ბევრის სალაპარაკო თემა ხდება. მწვრთნელთან მოლაპარაკებები საიდუმლოდ მიმდინარეობდა და ბევრი წუთი წუთზე ელოდა ჰოლანდიაში ჩემს გამოჩენას... ზოგი ამბობდა, რომ უკვე ესპანეთში ჩამოვედი და ვიმალები. ჰაერი ჭორებით გაიტენა, რადგანაც მე მასმედიასთან ყველანაირ შეხვედრას გავურბოდი. ვიცოდი, რომ საქმეს ჩემს ჩაურევლად მოაგვარებდნენ. დროზე ადრე აჭიკჭიკებას კი ყველაფრის გაფუჭება შეეძლო.

საბოლოოდ აღმოჩნდი თვითმფრინავში, რომელიც ოკეანის თავზე მიფრინავდა, ოღონდ არა ბარსელონაში, არამედ ლონდონში. გვერდით მეუღლე მახლავს, რომელსაც სანამ მე „ბარსას“ მიერ დაკისრებულ კომერციულ მოვალეობებს აღვასრულებ, ინგლისის დედაქალაქის დათვალიერება სურს. „პეპსის“ სარეკლამო რგოლში კომპანიონობას დევიდ ბექემი მიწევდა. გადაღებები საიდუმლოდ, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა — ლონდონში ჩასვლიდან გამგზავრებამდე. იმავე ღამით, როგორც იქნა, ბარსელონაში ჩავაღწიეთ. ქალაქში ადრე დილით ჩავედით და ოტელში დავბინავდით. სასტუმრო ბარსელონის ცენტრში არ იდგა, მაგრამ მალე გავიგე, რომ იქ ყველა ჩემს ძებნაში იყო... რადიო და ტელევიზია აცხადებდა, რომ რივალდოს ეძებდნენ აეროპორტში, კლუბის ოფისებსა და საცხოვრებელ ბინაშიც კი. ჩემი წარმომადგენელი ხოსე მარია მინგელა მირეკავდა და მეუბნებოდა, პრეზიდენტ გასპართან მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულაო. ჩემი ჩარევაც იქ საჭირო არ გახლდათ.

ოტელის ოთხ კედელ შუა მომწყვდეული თავს საძაგლად ვგრძნობდი... დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე მინგელამ დამირეკა და პრეზიდენტთან მიმწვია. კონტრაქტი უკვე თითქმის მოგვარებული იყო, რაღაც უმნიშვნელო დეტალებზე შეთანხმება და პრესასთან ოფიციალურად წარდგენა გვაკლდა. ვეებერთელა ლოდი მომეხსნა გულიდან, თუმცა ვიცოდი, პრეზიდენტთან შეხვედრამდე გამარჯვების აღნიშვნა ნაადრევი იყო.



გაგრძელება იქნება

AFP მიუხედავად

მიხაელ რენსინგმა პენალტებში იყოჩაღა

სახუმარო პენალტები

გერმანია

ლიგის თასი
ნახევარფინალი

ბაიერნი 0:0(პენ.4:1) შალკე

ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, ვან ბუიტენი, დემიკელისი (ჰუმელსი 46), ლამი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 70), ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი (სანტა კრუზი 77)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

შალკე: ფ. როსტი, გ. ვარელა (აბელი 90), ბორდონი, დ. როდრიგესი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი, ბაირამოვიჩი, იოზილი (ბოენიში 46), ჰალილ ალტინტოპი, ლოვენკრანდსი, ლარსენი (ჰეპკე 67)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გადრთხილება: ბოენიში

მსაჯი: ვაგნერი

40 000 მაყურებელი

მიუნხენის „ბაიერნი“ მეექვსედ გავიდა გერმანიის ლიგის თასის ფინალში. წინა ხუთი შემთხვევა ბავარიელთათვის წარმატებით დასრულდა და ფელიქს მაგათის შეგირდები ამ ტიტულის მეექვსედ მოგებას გეგმავენ. ბუნდესლიგის მოქმედი ჩემპიონის მეტოქე ფინალში გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი, ბრემენის „ვერდერი“ იქნება. შეხვედრა შაბათს ლაიპციგში გაიმართება.

მიუხედავად უგოლო 90 წუთისა, „ალიანს არენაზე“ შეკრებილ მრავალრიცხოვან ქომაგებს მოსაწყენი მატჩი ნამდვილად არ უნახავთ. საგოლე მომენტები ორივე კართან უხვად იყო, მაგრამ... „ბაიერნის“ შემადგენლობაში პირველი ოფიციალური თამაში ჩაატარა ლუკაშ პოდოლსკიმ, თუმც თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ძირითადი დროის დასრულების შემდეგ გუნდებმა პენალტები დაარტყეს. მიუნხენელთა მხრიდან ზუსტად მეჰმედ შოლმა, ოუენ ჰარგრივსმა, როკე სანტა კრუზმა და ვილი სანიოლმა დაარტყეს. „შალკეს“ სებასტიან ბოენიშს კი „ბაიერნის“ მეკარე მიხაელ რენსინგმა აუღო, ხოლო სებასტიან აბელის დარტყმა კარს გადასცდა. შედეგად „ხუმარებმა“ თერთმეტმეტრიანებში 1:4 წააგეს.

ფელიქს მაგათი: „მონაკვეთებში კარგად ვთამაშობდით, მაგრამ თავადაც ნახეთ, რომ სამუშაო ბევრი გვაქვს. მეტოქეს არაერთი მომენტი შევაქმნევინეთ, თუმცა ცოტა არც ჩვენ გვქონია. მთლიანობაში მატჩი კარგი სანახავი გამოდგა. ვფიქრობ, გულშემატკივრები კმაყოფილნი უნდა დარჩენილიყვნენ“.

გიორგი კაკაბაძე

ტყუპმზი რასიზმის წინააღმდეგ

„შალკეს“ თურქმა ტყუპებმა, ჰალილ და ჰამიტ ალტინტოპებმა დაიჩივლეს, რომ გერმანულ ბუნდესლიგაში რასიზმი მძვინვარებს. „რასისტულ შეურაცხყოფას თითქმის ბუნდესლიგის ყველა თამაშში ვაწყდები. რატომღაც დიდი პრობლემები აქვთ ჩემს წარმოშობასთან დაკავშირებით — „შე აყროლებულო თურქო!“ — აი, ეს მიმართვა ყველაზე რბილია იმათგან, რაც მომისმენია“ — განაცხადა ჰალილ ალტინტოპმა გერმანულ „დი ცაიტთან“ ინტერვიუში. მისი ტყუპისცალიც იქვე გახლდათ და ძმის ნათქვამს წამსვე დაუმატა: „მინდა, რასისტებმა „სიამოვნება“ მიიღონ — როცა მათ კარში გოლები გაგვაქვს, ათმაგად თურქები ვხდებით...“

მიუხედავად ფაშისტური ლანძღვა-გინებისა, ძმები გერმანიის მიტოვებას მაინც არ აპირებენ. ორივე გელზენკირხენში დაიბადა და, როგორც „დი ცაიტს“ უთხრეს, თურქული კარგად არც იციან... როცა ნაკრებში ვთამაშობთ, მწვრთნელს ძლივს ვუგებთო, ერთხმად აღნიშნავენ ალტინტოპები.

ლადო ხომერიკი



სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:30	1	ლუტონი-ლესტერი	2.30	3.00	2.70	1.30	1.24	1.42
18:00	2	ბარნსლი-კარდიფი	2.40	3.00	2.50	1.33	1.22	1.36
18:00	3	ბირმინგემი-კოლჩესტერი	1.40	3.50	6.00	1.00	1.13	2.21
18:00	4	ბარნლი-ქპრ	1.80	3.20	3.50	1.15	1.18	1.67
18:00	5	იფსვიჩი-კრისტალ პალასი	2.35	3.10	2.60	1.33	1.23	1.41
18:00	6	ლიდსი-ნორვიჩი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
18:00	7	პლიმუთი-ვულვერჰემპტონი	2.40	3.00	2.50	1.33	1.22	1.36
18:00	8	პრესტონი-უენსდი	1.65	3.00	4.50	1.06	1.20	1.79
18:00	9	საუთენდი-სტოკი	2.25	3.00	2.70	1.28	1.22	1.42
18:00	10	ვესტ ბრომვიჩი-ჰალი	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06

6 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	11	ქოვენტრი-სანდერლენდი	2.30	3.10	2.60	1.32	1.22	1.41
19:00	12	დერბი-საუთჰემპტონი	2.30	3.10	2.50	1.32	1.19	1.38

ინგლისი. I ლიგა

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	13	ბორნმუთი-ჩესტერფილდი	2.00	3.15	3.10	1.22	1.21	1.56
18:00	14	ბრენტფორდი-ბლეკპული	1.95	3.10	3.30	1.19	1.22	1.59
18:00	15	ბრისტოლი-სკანთორპი	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06
18:00	16	კარლაილი-დონკასტერი	2.35	3.10	2.50	1.33	1.21	1.38
18:00	17	ქრიუ-ნორტჰემპტონი	1.80	3.10	3.60	1.13	1.20	1.66
18:00	18	ჯილინგემი-ჰადერსფილდი	2.25	3.10	2.70	1.30	1.22	1.44
18:00	19	მილუოლი-იოვილი	1.66	3.20	4.50	1.09	1.21	1.87
18:00	20	ნოტინგემი-ბრედფორდი	1.55	3.40	4.70	1.06	1.16	1.97
18:00	21	პორტ ვეილი-ლეიტონი	1.95	3.10	3.20	1.19	1.21	1.57
18:00	22	როტერჰემი-ბრაიტონი	2.40	3.00	2.50	1.33	1.22	1.36
18:00	23	სუონსი-ჩელტენემი	1.55	3.25	5.00	1.04	1.18	1.96
18:00	24	ტრანმერი-ოლდემი	2.00	3.00	3.10	1.20	1.21	1.52

ინგლისი. II ლიგა

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	25	ბარნეტი-ტორკი	2.15	3.10	2.80	1.26	1.21	1.47
18:00	26	ჩესტერი-აკრინგტონი	2.10	3.10	2.90	1.25	1.21	1.49
18:00	27	დარლინგტონი-მაკლსფილდი	1.66	3.20	4.20	1.09	1.18	1.81
18:00	28	გრიმსბი-ბოსტონი	1.80	3.10	3.40	1.13	1.17	1.62
18:00	29	ჰარტლპული-სუინდონი	2.10	3.00	3.00	1.23	1.23	1.50
18:00	30	ლინკოლნი-ნოტსი	1.85	3.10	3.40	1.15	1.19	1.62
18:00	31	დონსი-ბერი	1.60	3.20	4.50	1.06	1.18	1.87
18:00	32	პიტერბრო-როვერსი	1.95	3.10	3.00	1.19	1.18	1.52
18:00	33	როჩდეილი-უოლსოლი	2.40	3.00	2.50	1.33	1.22	1.36
18:00	34	შრიუსბერი-მენსფილდი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
18:00	35	სტოკპორტი-ჰერეფორდი	2.15	3.00	2.90	1.25	1.23	1.47
18:00	36	უიკომბი-რექსემი	1.80	2.80	3.40	1.09	1.17	1.53

შოტლანდია

პრემიერლიგა

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	37	აბერდინი-ინვერნესი	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
18:00	38	ფოლკირკი-დანფერმლაინი	1.85	3.20	3.30	1.17	1.18	1.62
18:00	39	კილმარნოკი-ჰიბერნიანი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
18:00	40	რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი	1.10	5.50	11.00	1.00	1.00	3.66
18:00	41	სტ.მირენი-მოზერუელი	2.30	3.10	2.60	1.32	1.22	1.41

6 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	42	ჰართსი-სელტიკი	2.80	3.10	2.15	1.47	1.21	1.26

შოტლანდია. I დივიზიონი

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	43	ერდრი-როსი	2.20	3.35	2.40	1.32	1.14	1.39
18:00	44	დანდი-პარტიკი	1.70	3.35	3.60	1.12	1.15	1.73
18:00	45	კრეტნა-ჰამილტონი	1.50	3.40	4.50	1.04	1.12	1.93
18:00	46	ლივინგსტონი-ქუინი	1.60	3.40	4.15	1.08	1.15	1.86
18:00	47	სტ.ჯონსტონი-კლაიდი	1.60	3.40	4.20	1.08	1.15	1.87

შოტლანდია. II დივიზიონი

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	48	კოუდენბითი-ალოა	1.95	3.40	3.00	1.23	1.18	1.59
18:00	49	ფორფარი-სტრანრარი	2.75	3.35	2.10	1.51	1.19	1.29
18:00	50	მორტონი-რეითი	1.53	3.80	4.50	1.09	1.14	2.06
18:00	51	პიტერჰედი-ბრეჩინი	1.87	3.40	3.40	1.20	1.20	1.70
18:00	52	სტირლინგი-ეარი	1.80	3.40	3.35	1.17	1.17	1.68

შოტლანდია. III დივიზიონი

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	53	ბერიკი-ალბიონი	1.45	3.75	5.00	1.04	1.12	2.14
18:00	54	ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური	2.60	3.35	2.20	1.46	1.19	1.32
18:00	55	ისტ სტირლინგი-ელგინი	3.90	3.55	1.65	1.85	1.15	1.12
18:00	56	მონტროუზი-დამბარტონი	2.20	3.35	2.60	1.32	1.19	1.46
18:00	57	ქუინზ პარკი-არბროთი	2.45	3.30	2.35	1.40	1.19	1.37

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

4 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	58	დორტმუნდი(მ)-ემდენი	2.15	3.30	2.55	1.30	1.16	1.43
21:30	65	ვერდერი(მ)-ვილჰელმშჰევენი	1.85	3.30	3.20	1.18	1.17	1.62

5 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	60	დიუსელდორფი-ალენი	1.60	3.40	4.10	1.08	1.15	1.85
16:00	62	ლიუბეკი-ლევერკუზენი(მ)	1.50	3.70	4.55	1.06	1.12	2.04
16:00	63	მაგდებურგი-ჰამბურგი(მ)	1.75	3.35	3.55	1.14	1.17	1.72
16:00	64	ფრანკფურტი-მიონხენგლადბახი	1.55	3.45	4.55	1.06	1.15	1.96
16:00	66	ვუპერტალი-ზტ.პაული	2.45	3.20	2.20	1.38	1.15	1.30

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		6 აგვისტო						
16:00	59	დინამო-კილი	1.97	3.30	2.95	1.23	1.18	1.55
16:00	61	ჰერტა(მ)-ბერლინი	2.00	3.20	2.90	1.23	1.18	1.52
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		4 აგვისტო						
20:30	74	კარლსრუე (მ)-პირმასენსი	1.70	3.40	3.70	1.13	1.16	1.77
21:00	75	შტუტგარტი(მ)-ზიგენი	2.05	3.25	2.80	1.25	1.18	1.50
		5 აგვისტო						
16:30	67	აალენი-კიკერსი	1.95	3.05	3.25	1.18	1.21	1.57
16:30	68	ბაიერნი(მ)-კასელი	1.70	3.35	3.70	1.12	1.16	1.75
16:30	69	დარმშტადი-ფულენდორფი	1.60	3.45	4.10	1.09	1.15	1.87
16:30	71	ჰოფენჰაიმი-მიუნხენ 1860	1.25	4.40	7.30	1.00	1.06	2.74
16:30	72	ინგოლშტადი-ზაარბრიუკენი	2.30	3.20	2.45	1.33	1.18	1.38
16:30	73	ლაუტერნი (მ)-რიუტლინგენი	1.90	3.30	3.10	1.20	1.17	1.59
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		5 აგვისტო						
21:30	76	პაშინგი-მატერსბურგი	1.60	3.35	4.40	1.08	1.17	1.90
21:30	77	ზალცბურგი-ვრაცერი	1.40	3.90	6.50	1.03	1.15	2.43
21:30	78	შტურმი-რიდი	2.00	3.15	3.15	1.22	1.22	1.57
21:30	79	ტიროლი-აუსტრია	2.70	3.10	2.25	1.44	1.22	1.30
		6 აგვისტო						
21:30	80	რაპიდი-ალტახი	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		ავსტრია. I დივიზიონი						
		4 აგვისტო						
21:00	87	აუსტრია(ლ)-ლეობენი	2.10	3.20	2.80	1.26	1.20	1.49
21:00	88	ჰარტბერგი-ლინცერი	3.40	3.20	1.85	1.64	1.19	1.17
21:00	89	კაფენბერგი-ადმირა	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
21:00	90	კერნტენი-აუსტრია(მ)	1.60	3.40	4.30	1.08	1.16	1.89
21:00	91	პარნდორფი-ფკ ლუსტენაუ	1.95	3.15	3.20	1.20	1.21	1.58
21:00	92	შვანენშტადტი-გრატკორნი	2.30	3.15	2.55	1.32	1.20	1.40
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		5 აგვისტო						
19:45	93	ბაზელი-ერასპოპერი	1.70	3.25	4.25	1.11	1.21	1.84
19:45	94	ლუცერნი-აარაუ	2.10	3.15	2.95	1.25	1.22	1.52
19:45	95	ციურიხი-იანგ ბოიზი	1.70	3.20	4.25	1.11	1.21	1.82
		6 აგვისტო						
18:00	96	სიონი-სტ.გალენი	1.90	3.20	3.25	1.19	1.19	1.61
18:00	97	თუნი-შაფჰაუზენი	1.60	3.35	4.70	1.08	1.19	1.95
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		4 აგვისტო						
21:45	100	იუვენტუსი-ქსამაქსი	3.20	3.15	1.95	1.58	1.21	1.20
		5 აგვისტო						
21:30	98	ბელინცონა-ლოკარნო	1.70	3.25	3.70	1.11	1.16	1.73
19:30	99	ვილი-სერვეტი	2.05	3.20	2.90	1.24	1.20	1.52
19:30	101	დელემონტი-ლოზანა	2.95	3.15	2.05	1.52	1.20	1.24
19:30	102	ვადუცი-კიასო	1.85	3.20	3.45	1.17	1.20	1.66
20:00	103	ივერდონი-ვოლენი	1.65	3.35	4.10	1.10	1.17	1.84
21:30	104	შო დე ფონი-კონკორდია	1.80	3.20	3.50	1.15	1.18	1.67
21:30	105	ლუგანო-ვინტერთური	1.70	3.35	3.75	1.12	1.16	1.76
		საფრანგეთი						
		I დივიზიონი						
		4 აგვისტო						
22:45	107	ნანტი-ლიონი	4.15	3.00	1.80	1.74	1.25	1.12
		5 აგვისტო						
19:15	108	რენი-ლილი	2.20	2.75	3.10	1.22	1.28	1.45
22:00	109	ოსერი-ვალენსიენსი	1.50	3.20	5.50	1.02	1.20	2.02
22:00	110	ბორდო-ტულუზი	1.50	3.20	6.00	1.02	1.20	2.08
22:00	111	ლე მანი-ნიცა	2.10	2.75	3.35	1.19	1.29	1.51
22:00	112	ლანსი-ტრუა	1.60	3.20	5.60	1.06	1.24	2.03
22:00	113	ნანსი-მონაკო	2.50	2.75	2.70	1.30	1.29	1.36
22:00	114	პსჟ-ლორიანი	1.35	3.57	8.00	1.00	1.15	2.46
22:00	115	სტ.ეტიენი-სოშო	1.90	2.80	4.10	1.13	1.29	1.66
		6 აგვისტო						
20:00	116	სედანი-მარსელი	3.00	2.75	2.20	1.43	1.26	1.22
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		4 აგვისტო						
22:00	118	ამიენი-სტრასბური	2.65	2.70	2.65	1.33	1.32	1.33
22:00	119	ბასტია-რეიმსი	1.67	3.10	5.00	1.08	1.25	1.91
22:00	120	ბრესტი-ლიბოურნე	1.80	2.85	4.40	1.10	1.27	1.72
22:00	121	შატორუ-ლე ავრი	2.00	2.70	3.70	1.14	1.29	1.56
22:00	122	დიჟონი-კაენი	2.40	2.70	2.90	1.27	1.31	1.39
22:00	123	მეცი-ისტრი	1.65	3.10	4.80	1.07	1.22	1.88
22:00	124	მონპელიე-გენიონი	1.75	2.85	5.00	1.08	1.29	1.81
22:00	125	ნიორი-გრენობლი	2.18	2.75	3.20	1.21	1.29	1.47
22:00	126	ტოურსი-კრეტეი	2.40	2.70	2.90	1.27	1.31	1.39
		ბელგია. I დივიზიონი						
		4 აგვისტო						
22:30	135	სტანდარდი-შარლეროა	1.40	3.75	6.30	1.01	1.14	2.35
		5 აგვისტო						
22:00	128	ანდერლეხტი-ბეერსხოტი	1.20	4.80	8.95	1.00	1.05	3.12
22:00	129	ბევერენი-ვესტერლო	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
22:00	130	სერკლი-ლოკერენი	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
22:00	131	გენტი-მუსკრონი	1.57	3.50	5.00	1.08	1.19	2.05
20:00	132	ლიერსი-გენკი	2.85	3.15	2.20	1.49	1.24	1.29
22:00	133	მონსი-სტ.ტრუიდენი	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
22:00	136	ვარეგემი-ბრიუსელი	1.85	3.25	3.60	1.17	1.22	1.70
		6 აგვისტო						
20:00	134	რუზელარე-ბრიუგე	4.80	3.50	1.60	2.02	1.20	1.09
		თურქეთი						
		4 აგვისტო						
22:00	137	ანკარა-გალათასარაი	4.65	3.35	1.55	1.94	1.16	1.05
		5 აგვისტო						
22:30	140	ფენერბაჰჩე-ერუიესი	1.15	5.00	8.00	1.00	1.00	3.07
20:00	142	კაისერი-ტრაბზონი	2.45	3.00	2.40	1.34	1.21	1.33
		6 აგვისტო						
21:00	138	ანტალია-რიზე	2.20	3.15	2.80	1.29	1.23	1.48
21:00	139	ბურსა-ანკარაგიუჯიუ	1.85	3.10	3.30	1.15	1.18	1.59
21:00	141	გაზიანთეფი-დენიზლი	1.85	3.10	3.20	1.15	1.17	1.57
21:00	143	კონია-საკარია	1.70	3.20	3.75	1.11	1.16	1.72
21:00	144	სივასპორი-გენჩლერი	2.25	3.00	2.70	1.28	1.22	1.42
21:00	145	მანისა-ბეშიქთაში	3.70	3.25	1.75	1.73	1.18	1.13
		რუსეთი						
		4 აგვისტო						
19:00	148	ტორპედო-დინამო	2.60	3.00	2.30	1.39	1.22	1.30
		5 აგვისტო						
19:00	149	რუბინი-სატურნი	1.75	2.90	4.40	1.09	1.25	1.74
14:00	150	სპარტაკი-როსტოვი	1.35	3.75	7.00	1.00	1.13	2.44
		6 აგვისტო						
19:00	151	მოსკოვი-ტომსკი	1.75	3.10	4.10	1.11	1.22	1.76
18:00	152	ლოკომოტივი-ამკარი	1.30	3.90	7.50	1.00	1.10	2.56
19:00	153	ნალჩიკი-კრილია	1.95	2.90	3.50	1.16	1.25	1.58
14:30	154	ზენიტი-შინიკი	1.30	3.90	7.50	1.00	1.10	2.56

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		პოლონეთი						
		4 აგვისტო						
22:00	155	არკა-ვისლა	5.00	3.30	1.55	1.98	1.18	1.05
		5 აგვისტო						
21:00	157	კრაკოვია-ოდრა	1.90	3.15	3.40	1.18	1.21	1.63
21:00	158	გურნიკი-პოგონი	1.90	3.15	3.45	1.18	1.22	1.64
21:00	159	ლოძი-ლეჩნა	1.70	3.25	4.10	1.11	1.20	1.81
21:00	160	ზაგლებე-ლეხი	2.25	2.95	2.80	1.27	1.24	1.43
		6 აგვისტო						
20:00	162	კორონა-პლოცკი	1.85	3.15	3.55	1.16	1.21	1.66
		ჩეხეთი						
		5 აგვისტო						
21:00	163	ლიბერეცი-ბანიკი	1.50	3.45	5.00	1.04	1.15	2.04
21:00	169	სლოვაცკო-ბოლესლავი	2.50	2.85	2.60	1.33	1.27	1.35
		6 აგვისტო						
19:00	164	ბრნო-ზლინი	1.70	3.15	4.30	1.10	1.21	1.81
19:00	165	კლადნო-იაბლონეცი	2.45	2.80	2.65	1.30	1.27	1.36
19:00	166	მოსტი-პრჟიბრამი	1.65	3.20	4.40	1.08	1.20	1.85
19:00	167	სიგმა-ბუდეიოვიცე	1.55	3.45	4.85	1.06	1.17	2.01
22:15	168	სლავია-ტეპლიცე	1.75	3.05	4.20	1.11	1.23	1.76
		7 აგვისტო						
19:15	170	პლზენი-სპარტა	4.85	3.45	1.55	2.01	1.17	1.06
		სლოვაკეთი						
		4 აგვისტო						
22:00	171	სინეცი-დუბნიცა	2.40	3.00	2.60	1.33	1.24	1.39
		დანია. სუპერლიგა						
		5 აგვისტო						
21:00	184	ბრიონდბიუ-ჰორსენსი	1.20	5.30	11.00	1.00	1.08	3.57
19:00	189	ვიბორგი-კოპენჰაგენი	4.20	3.30	1.75	1.84	1.23	1.14
		6 აგვისტო						
17:00	185	ესბიერგი-ნორდსიელანდი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
20:00	186	ოდენსე-რანდერსი	1.45	3.75	6.00	1.04	1.16	2.30
17:00	187	სილკებორგი-ოლბორგი	3.90	3.20	1.80	1.75	1.23	1.15
17:00	188	ვეილე-მიდტიულანდი	4.00	3.35	1.80	1.82	1.24	1.17
		დანია. I დივიზიონი						
		5 აგვისტო						
17:00	190	ორჰუსი ფრ-ფრემადი	3.60	3.50	1.80	1.77	1.20	1.18
17:00	191	ჰელერუპი-კიოგე	2.25	3.10	2.60	1.30	1.20	1.41
		6 აგვისტო						
15:00	192	ფრემი-ტისტედი	1.35	3.90	6.50	1.00	1.11	2.43
15:00	193	კოლდინგი-იოლსტიკე	1.65	3.30	4.00	1.10	1.16	1.80
17:00	194	ორჰუსი-ნესტვედი	1.20	5.50	8.00	1.00	1.04	3.25
17:00	195	აკადემისკი-ლიუნგბიუ	3.50	3.20	1.80	1.67	1.18	1.15
17:00	196	ჰერფიოლგე-ბრაბრანდი	1.55	3.40	5.00	1.06	1.18	2.02
17:00	197	სიონდერიისკე-ფრედერისია	1.40	4.00	5.20	1.03	1.10	2.26
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		5 აგვისტო						
21:00	199	რუსენბორგი-ვოლერენგა	1.90	3.00	3.10	1.16	1.17	1.52
		6 აგვისტო						
20:00	200	ლინი-მოლდე	1.90	3.00	3.10	1.16	1.17	1.52
20:00	201	ოდ გრენლანდი-სტაბეკი	2.00	2.90	3.10	1.18	1.21	1.49
20:00	202	ტრომსიო-სანდეფიორდი	1.85	3.00	3.20	1.14	1.17	1.54
20:00	203	ვიკინგი-ლილესტრიომი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
22:00	204	ბრანი-სტარტი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
		7 აგვისტო						
21:00	205	ფრედრიკსტადი-ჰამარი	2.10	3.00	3.00	1.23	1.23	1.50

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		5 აგვისტო						
20:00	206	ტრომსდალენი-სოგნდალი	3.15	3.60	1.95	1.67	1.20	1.26
18:00	212	პორს გრენლანდი-მოსი	2.55	3.60	2.25	1.49	1.19	1.38
		6 აგვისტო						
20:00	207	ბოდიო გლიმტი-ლოვ ჰამი	1.40	4.20	6.40	1.04	1.14	2.53
20:00	208	ბრინი-ჰიოდი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
20:00	209	ჰაუგესუნდი-ალესუნდი	3.55	3.30	1.85	1.71	1.21	1.18
20:00	210	კონგსვინგერი-სპარტა ს	1.70	3.65	4.00	1.15	1.19	1.90
20:00	211	მანგლერუდი-ფოლო	1.95	3.65	3.10	1.27	1.19	1.67
20:00	213	სტრიომსგოდსეტ-ჰიონეფოსი	1.55	3.60	5.10	1.08	1.18	2.11
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		5 აგვისტო						
18:00	221	იურგორდენი-ჰელსინგბორგი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
		შვედეთი. სუპერეტა						
		5 აგვისტო						
18:00	231	დეგერფორსი-ფალკენბერგი	1.95	3.25	3.10	1.21	1.19	1.58
18:00	232	სუნდსვალი-ლიუნგსკილე	1.75	3.20	3.65	1.13	1.18	1.70
		6 აგვისტო						
19:00	233	ასირისკა-ქვიდინგი	1.40	3.70	5.90	1.01	1.13	2.27
19:00	234	მიალბი-იორებრო	3.70	3.20	1.75	1.71	1.18	1.13
19:00	235	უმეა-ატვიდაბერგი	2.40	3.20	2.40	1.37	1.20	1.37
		7 აგვისტო						
21:00	236	ლანდსკრონა-ბრომაპოიკარნა	1.90	3.20	3.10	1.19	1.17	1.57
21:00	237	ტრელებორგი-ვესბი	1.50	3.50	4.90	1.04	1.14	2.04
		ირლანდია						
		4 აგვისტო						
22:45	245	ბოჰემიანი-ლონგფორდი	1.70	3.20	4.10	1.11	1.20	1.79
22:45	246	ბრეი-დერი	4.40	3.30	1.65	1.88	1.20	1.10
22:45	247	დროგედა-შელბურნი	2.45	2.90	2.55	1.32	1.24	1.35
22:45	250	სლიგო-დუბლინი	1.70	3.10	4.20	1.09	1.21	1.78
		5 აგვისტო						
19:00	249	უოტერფორდი-კორკი	6.50	3.65	1.40	2.33	1.15	1.01
		ბრაზილია						
		5 აგვისტო						
23:00	261	ფიგეირენსე-სან კაეტანო	1.55	3.40	4.90	1.06	1.17	2.00
23:00	262	გრემიო-ჟუვენტუდი	1.60	3.30	4.70	1.07	1.19	1.93
23:45	263	კორინთიანსი-ატლეტიკო პრ	1.67	3.30	4.20	1.10	1.19	1.84
23:45	264	ფლამენგო-გოიასი	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
		6 აგვისტო						
23:45	268	კრუზეირო-სანტა კრუსი	1.30	4.20	7.50	1.00	1.10	2.69
23:45	269	ფორტალესა-პალმეირასი	2.25	3.25	2.60	1.32	1.20	1.44
23:45	270	პონტე პრეტა-ფლუმინენსე	2.45	3.25	2.40	1.39	1.21	1.38
		ჩილე						
		5 აგვისტო						
23:45	275	ჰიგინსი-ევერტონი	1.60	3.30	4.70	1.07	1.19	1.93
23:45	276	პუერტო მონტი-უნ.ჩილე	1.95	3.20	3.15	1.21	1.20	1.58
23:45	279	უნ.ესპანიოლა-აუდაქსი	2.10	3.20	2.85	1.26	1.20	1.50
		6 აგვისტო						
23:45	271	ანტოფაგასტა-რეინჯერსი	1.70	3.25	4.10	1.11	1.20	1.81
23:45	272	კოლო კოლო-პალესტინო	1.20	4.90	8.80	1.00	1.05	3.14
23:30	273	უაჩიპატო-კოკიმბო	1.25	4.40	7.80	1.00	1.07	2.81
23:45	274	სერენა-კობრელოა	1.95	3.20	3.15	1.21	1.20	1.58
23:30	277	მორნინგი-უ.კონსეპსიონი	3.25	3.15	1.90	1.59	1.19	1.18
23:45	278	უონდერერსი-უნ.კატოლიკა	2.30	3.20	2.50	1.33	1.19	1.40

სწორდი, სმენა!

ჭაბუკებო, ახლა თქვენი ჯერია!

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს ჭაბუკები ესტონეთში მიყავს

ფოტო: ფოლადიშვილის

ისე დაემთხვა, ბოლო ხანებში სულ ახალგაზრდულსა და ეროვნულ ნაკრებებს ვუტრიალებდით, არადა, კადეტებმა რა დააშავეს?! ქართველი 16-წლიანებიც B დივიზიონში არიან და 9 აგვისტოდან ესტონეთს დედაქალქ ტალინში ევროსაკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. კადეტთა ნაკრები ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და მიხეილ კობეშავიძის ხელმძღვანელობით თვეზე მეტია ემზადება და ესტონეთშიც საკმაოდ მიდის შეთამაშებული.

ჩვენი 16-წლამდელები ივნისის ბოლოს შეიკრიბნენ, ხოლო ივლისის დასაწყისში ბერძული ტურნეც მოაწყვეს. კადეტთა ნაკრები ათენში, „ოლიმპიაკოსის" გრანდიოზულ დარბაზში ვარჯიშობდა, სადაც ბერძნელ თანატოლებთან სამი სპარინგ-მატჩის გამართა.

მასპინძლები გაფართოებული შემადგენლობით დაუპირისპირდნენ ქართველებს და როგორც მერე გაირკვა, იმ გუნდიდან საბერძნეთის კადეტთა ნაკრების ძირითადში 4 მოთამაშე მოხვდა. მიუხედავად ამისა, ჩერქეზიშვილის შეგირდებს ბერძენი თანატოლების სამჯერვე დამარცხება შაინც წარმატებად ჩაეთვლებათ.

ელადიდან ჩამოსვლის შემდეგ ქართველი ჭაბუკები დიღმის ბაზაზე შეიკრიბნენ და 10 დღე იქ ემზადებოდნენ. 25 ივლისიდან კი ისინი ვერის ბაღის დარბაზს დაუბრუნდნენ და დღემდე იქ ვარჯიშობენ.

საბოლოო შემადგენლობა ცნობილი ჯერ არაა, თუმც მის დაკომპლექტებას ბევრიც არაფერი უკლია. აი, ამ 13 მოთამაშიდან 12 უნდა წავიდეს 7 აგვისტოს ესტონეთში:

გიგი ბარბაქაძე, ტატო ჩაჩიბაია, ალეკო ძიძიგური, ლაზარე გალდავა, დიმიტრი გასიტაშვილი, გიორგი ჯგერენაია, დავით მაისურაძე, ნიკა მეტრეველი, გიორგი ნანიტაშვილი, გიორგი შარაბიძე, ლევან შენგელია, ტარიელ თავართქილაძე, ნიკოლოზ წერეთელი.

ქართველების მეტოქეები ქვეჯგუფში იქნებიან: ავსტრია, ესტონეთი, ნორვეგია და შვედეთი. მეორე ჯგუფურ ეტაპზე ორი საუკეთესო გადის, ქართველები კი პირველ მატჩში, 9 აგვისტოს, მასპინძელ ესტონელებს ეთამაშებიან.

ირაკლი პერტაია

თურქებმა „ეფეს პილზენის" თასი სტამბოლში დატოვეს

ყველა გზა იაპონიაში მიდის

იაპონიაში გასამართ კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრიც არაფერი დარჩა და ამ ტურნირის მონაწილენიც გამალებულ სამზადისში არიან. ევროპის ყველა კუთხე-კუნჭულში კალათბურთია გახურებული: ზოგან მინი-ტურნირი იმართება და სხვაგან კიდევ საკონტროლო მატჩები.

მაგალითად, ლიტვაში გუშინ დასრულდა ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის სუპერთასი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსეთის, ისრაელისა და სენეგალის ეროვნული გუნდები მონაწილეობდნენ. ამ კვარტეტიდან მხოლოდ ორია მუნდიალის მონაწილე: ლიტვა და სენეგალი.

ტურნირი ერთ წრედ ჩატარდა და მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. ლიტველებმა სამივე მეტოქეს იოლად მოუგრიხეს კისერი. ჯერ იყო და სენეგალს გადაუარეს (96:51), შემდეგ არც ისრაელი დაინდეს (87:67) და გუშინ გადამწყვეტ მატჩში რუსებსაც იოლად გაუმკლავდნენ — 77:61.

მეორე ადგილი ებრაელებს ერგოთ, რომლებმაც მხოლოდ ბალტიელებთან წააგეს, ხოლო რუსებს დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში ორი ქულით მოუგეს.

მსოფლიოს ჩემპიონატის მოწილე კია, მაგრამ სენეგალი, ალბათ, შერცხვენილი გაბრუნდება იაპონიიდან. აფრიკელებმა ვილნიუსში ყველა მატჩი უიმედოდ წააგეს.

ვილნიუსის პარალელურად სტამბოლმაც უმასპინძლა ოთხთა ტურნირს — „ეფეს პილსენის" მსოფლიოს თასს. თურქეთში მოლიანად მუნდიალის მონაწილეები შეყარნენ. მასპინძლები, სლოვენიელები, ყატარელები და ლიბანელები.

თასი, რა გასაკვირია და, თურქებსა და სლოვენიელებს შორის გათამაშდა. ბოლო ტურის მატჩში მასპინძლებმა 93:70 დაამარცხეს ექსიუგოსლავიელები. ტურნირის უძვირფასესი მოთამაშეც თურქი შეიქნა — სერჰან ერდოგანმა სამ მატჩში 47 ქულას მოუყარა თავი.

ესპანურ ვალენსიაშიც საიაპონიოდ გამზადებული გუნდები თამაშობენ. მასპინძლებთან ერთად მინი-ტურნირში ჩინეთის, სერბეთ-ჩერნიგორიისა და ანგოლის ნაკრებები მონაწილეობდნენ.

ისევე, როგორც ჩვენს მიერ ნახსენებს სხვა ტურნირებში, აქაც მასპინძლებს დაჩათ გამარჯვება. ესპანელებმა ჯერ ანგოლა მოდრიკეს (97:63), მერე სერბები გაანადგურეს (83:62), ბოლოს კი ჩინელებსაც იოლად გაუსწორდნენ, ანგოლელების დარად, მათაც 97:63 მოუგეს.

რამდენიმე დღეც და ეს ტურნირობანა მორჩება, მწვრთნელები საბოლოო შემადგენლობებს დაასახელებენ და იაპონიის გზას გაუყვებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატი 19 აგვისტოდან გახურდება.

ირაკლი პერტაია

სლოვენიელებმა ყატარელებს ბურთი არ დაანებეს

ზოოპარკის გავლით: აინაცვლა და გაცვალა

ჭეიშვილი გუნდს თმობს, სტუდენტობას არა



ნუგზარ ჭეიშვილი ახლა თსუ-ს გუნდს დამოძღვრავს

ფოტო: ფოლადიშვილის

საქართველოში ასეა: ყოველი სეზონის წინ გუნდებში დიდი ცვლილებებია. ეროვნული ჩემპიონატის წამყვან მოთამაშეებზე ნადირობაა გაჩაღებული და ვისაც ჯიბეში მეტი ფული აქვს, მძლავრ გუნდსაც ის აკეთებს. შედარებით „ერთგულნი" არიან მწვრთნელები. იშვიათია, რომ კლუბმა წინამძღოლი გამოიცვალოს.

კარსმომდგარი სეზონი კი მწვრთნელების მიდი-მოდითაც გამოირჩა. ჯერ იყო და, „თსუ-ნიკორადან" „აზოტში" დავით უსტიაშვილი გადავიდა, ახლა კი სტუ-ს თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილიც აპირებს გუნდის გამოცვლას.

ამ ტრანსფერს წერტილი ჯერ არ დასმია, მაგრამ ყველაფერი საბოლოოდ, ალბათ, ასეც მოხდება. თსუ-ს აღმასრულებელი დირექტორი ამირან სანიკიძე უკვე შეხვდა ჭეიშვილს და წინასწარი გარიგებაც გაიჩარხა.

„ძალიან მინდა, რომ ნუგზარ ჭეიშვილმა თსუ-ს უხელმძღვანელოს. ჯერ კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, ჭეიშვილი საბოლოო სიტყვას გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ გვეტყვის" — გვითხრა ამირან სანიკიძემ.

ნუგზარ ჭეიშვილი ახლა ჰამბურგშია და საქართველოს ნაკრებს მოძღვრავს ევროპის ვეტერანთა ჩემპიონატზე. მას საკუთრივ გერმანიაშიც აქვს რამდენიმე კლუბის შემოთავაზება, მაგრამ რამდენად მისაღები იქნება ეს ჭეიშვილისთვის, ძნელი სათქმელია.

ჭეიშვილი სტუ-ს ერთგული მწვრთნელია. რაც ამ გუნდს საქართველოს ჩემპიონატში მიუღწევია, ძირითადად მისი დამსახურებაა. არაერთი ბრინჯაოს მედლის მოგების შემდეგ ტექნიკოსებმა შარშან, როგორც იქნა, საჩემპიონო ნავსიც გატეხეს, მაგრამ მერე შემძლე სპონსორი, „ჯეოსელი" გაექცათ და ამბიციები შეეკვეცათ. გასული სეზონი სტუდენტებმა თითქმის უხელფასოდ ითამაშეს და ნახევარფინალს ვერ გასცდნენ. ახლა კი, როგორც ჩანს, ისევ უპატრონოდ არიან და ჭეიშვილმაც ამიტომ გაიხედა სხვა გუნდისკენ.

მოკლედ, ასეა — ჭეიშვილმა თბილისის ზოოპარკის ერთი კიდედან მეორესკენ აინაცვლა და „გეჰეი" უნივერსიტეტში გაცვალა.

ირაკლი პერტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მძლეოსნობა კავკასიიდან უნდა აღორძინდეს

ევროპის მძლეოსნებს კარს მოადგათ კიდევ ერთი კონტინენტური ჩემპიონატი, რომელსაც შვედეთის ქალაქი გეტებორგი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სარეკორდოდ ბევრი სპორტსმენი — 1370 მძლეოსანი — გამოვა. სარეკორდო იქნება მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობაც — 48. ეს ჩემპიონატი მხოლოდ ორი ქვეყნის, სომხეთისა და ლიხტენშტეინის წარმომადგენლებს მოისაკლისებს, რომელთა მძლეოსნებმაც შეჯიბრებაში დასაშვები ნორმატივები ვერ შეასრულეს. საქართველო კი ასეთი სირცხვილისგან ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, სამხტომელმა იულია დუბინამ იხსნა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს, სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მაია აზარაშვილს

ავთანდილ ბუჩუკაშვილის ფოტო

— გვეგონა, რომ გეტებორგში, სულ ცოტა, სამი ჩვენებური მაინც გამოვიდოდა. დუბინას გარდა, ჩვენი ვარაუდით, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ათენის ოლიმპიური თამაშების სხვა მონაწილენიც — თარჯმორბენალი დავით ილარიანი და ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი...

— მარიამ ქევხიშვილი, რომელმაც ათენის ოლიმპიადაზე მე-18 ადგილი დაიკავა, ახლა ამერიკაში უნდა იყოს, სადაც ერთ-ერთ კოლეჯში გააგრძელებს სწავლას. ამას რომ თავი დავანებოთ, მარიამი მაინც ვერ იყო სათანადო ფორმაში, რადგან კოლეჯში ჩასარიცხად ემზადებოდა. თანაც თბილისში, ეროვნული სტადიონის რემონტის გამო მას პრაქტიკულად ვარჯიშის საშუალება აღარც ჰქონდა. სამაგიეროდ, სტადიონის რემონტის მერე კარგი პირობები გვექნება, ქევხიშვილი კი სულაც იმ კოლეჯში, ცნობილ სპეციალისტებთან ივარჯიშებს და ეს მის მომზადებაზე უთუოდ ძალიან კარგად იმოქმედებს. რაც შეეხება დავით ილარიანს, იგი ამას წინათ ისრაელის ღია პირველობაზე გამოსვლისას დაშავდა და ტრავმა დღემდე არ მოშუშებია.

— გეტებორგში დუბინას გამოსვლაც სათუო იყო. მას საევროპო ნორმატივის შესასრულებლად ქუთაისში ოციოდე დღის წინ გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ორიოდე სანტიმეტრი დააკლდა...

— დიახ, ასე იყო, მაგრამ, როგორც მაშინდელ ინტერვიუში გითხარით, ვიმედოვნებით, რომ ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორები ამაზე თვალს დახუჭავდნენ, რადგან სამხტომში ორი სანტიმეტრი ბევრიც არაფერია. ასეც მოხდა და დუბინა გეტებორგში გამოვა.

— ნუთუ საქართველოში, სადაც თქვენი ჩათვლით არაერთი უმაღლესი დონის მძლეოსანი იყო, მეტი აღარავინ დაგვრჩა, რომ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მაინც მოეპოვებინა?

— ამ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დაწესებულ ნორმატივთან ახლოს იყო შარშანდელი ევროპის თასის გათამაშების მეორე პრიზიორი როსტომ ჭინჭარაული. შარშან იგი შუბს 70 მეტრზე ტყორცნიდა, საევროპო ნორმატივი კი 76 მეტრია. შუბის ტყორცნაში შედეგის 6 მეტრით გაუმჯობესება ერთი წლის განმავლობაში მისთვის პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისიც მძიმედ დაშავდა და საოპერაციო შეიქნა. გვყავს კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებზეც სამომავლოდ გარკვეულ იმედებს ვამყარებთ.

— ევროპის ჩემპიონატს, ალბათ, ჩვენი სპეციალისტებიც დაესწრებიან, რაც გამოცდილებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

— რა თქმა უნდა, ასეც იქნება. ეგეც რომ არ იყოს, ყოველი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ვალდებულია, ამ შეჯიბრებას დაესწროს, რადგან იმ დღეებში ევროპის მძლეოსანთა კავშირი მრავალ საკითხზეც იმსჯელებს, მათ შორის მომავალ შეჯიბრებებზეც. გეტებორგში ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ მძლეოსანთა კავკასიის თასის გათამაშებას, რომელიც წლეულს სოჭში ტარდება, გაისად თბილისში ვუმასპინძლოთ. წლევანდელ შეჯიბრებაში კი მონაწილეობას მიიღებენ როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების, ისე ისრაელის, თურქეთის; ირანისა და რუსეთის გუნდები. შესაძლოა, რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების გუნდები ცალ-ცალკე გამოიყვანოს. ჩვენს განახლებულ სტადიონზე ასეთი შეჯიბრების მასპინძლობა საქართველოში მძლეოსნობის განვითარებისთვის კარგი სტიმული იქნება.

ავთანდილ ჭყვიშელი

სროლა

ერთი ნაღდი, ერთიც სათუო
გავართქყათ ლიცენზიას, გაისად

ტყვიის მსროლელთა შორის პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება კარგა ხანია დაიწყო. უკვე ბევრმა ძლიერმა მსროლელმა გაინაღდა ჩინეთის საგზური, მათ შორის ჩვენებურმა ნინო სალუქვაძემაც. ძველი წესები რომ არ შეეცვალათ, ნინო მეორე ლიცენზიასაც მოიპოვებდა და რომელიმე თანაგუნდელის საქმესაც გააკეთებდა, მაგრამ ახლის მიხედვით ეს ყველამ თავისით უნდა შეძლოს. ოლიმპიადაზე მეოცნებეთ იმედად მომავალ წელს ჩასატარებელი რამდენიმე ტურნირი რჩებათ. ისიცაა, რომ მიზნის მიღწევა ნელ-ნელა გაიოლდება, რადგან კანდიდატთა სია შეჯიბრიდან შეჯიბრებამე შეთხელდება.

წლეულს სალიცენზიო სეზონი ახლახან ზაგრებში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატით დაიხურა და მასზე სალუქვაძის გარდა ჩვენებურთაგან ყველამ ცუდად ისროლა. ქალთა მეორე-მესამე ნომრები ნინო უჩაძე და თამილა ასათიანი სასურველ პოზიციას გვარიანად ჩამორჩნენ, ისევე როგორც მთელი კაცთა ნაკრები. თუმცა ხორვატიიდან ჩვენს გუნდს მეორე ლიცენზიის წამოღების შანსი ამ შედეგების გამოქვეყნების შემდეგაც კი ჰქონდა.

შეგახსენებთ — ზაფხულის დასაწყისში მილანურ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ფედერაციის და ორგანიზატორთა უსაფუძვლო ბრალდების გამო არ დაუშვეს. ეს უკანასკნელნი მოგვიანებით კი მიხვდნენ თავიანთ დანაშაულს და ოფიციალური ბოდიშიც არ დავიწყებიათ, მაგრამ გვიანი იყო. ქართველებიდან სასროლად გასვლა მხოლოდ სალუქვაძემ მოასწრო. იმ მსოფლიოს თასზე ლიცენზიები თამაშდებოდა და ჩვენებურებმაც ავტომატური ლიცენზია მოითხოვეს. სწორედ ამ საკითხზე უნდა ემსჯელა ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციას ზაგრებში მსოფლიო პირველობის დასრულებისთანავე.

„სამწუხაროდ, არც ოფიციალური განხილვა ყოფილა და ვერც კონკრეტული პასუხი მივიღეთ — გვითხრა ხორვატიიდან დაბრუნებულმა *ნინო სალუქვაძემ* — სათავეში ისეთი ხალხია, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება ძალიან უჭირთ. ფაქტობრივად, გენერალური მდივანი გერმანელი ფორც შრაიდე წყვეტს ყველაფერს. მასთანაც გვქონდა საუბარი და ზოგადი პასუხი მივიღეთ — საკითხი განხილვის პროცესშიაო. ცოტა უცნაურია, ამდენი ფიქრი რაში სჭირდებათ...“

თამილა ასათიანი, ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე ზაგრებში უმედლოდ დარჩნენ

სავარაუდოდ, წლის ბოლომდე გაირკვევა, ამ საქმიდან ლიცენზია გამოდნება თუ არა. მომავალ სეზონში კი თანაგუნდელებისგან სალუქვაძე ორ ოლიმპიურ საგზურს ელის: „ქალებში და კაცებში თითო ლიცენზია თუ მოვიპოვეთ, შედეგით ნამდვილად კმაყოფილები ვიქნებით. მთავარია, გეგმაზომიერად ვიმუშავოთ და ტურნირებზე ვიაროთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი კანდიდატები სალიცენზიო შედეგებს გვარიანად ჩამორჩნენ. მეც საკმაოდ ცუდად ვისროლე, მაგრამ არა უშავს, წინ მთელი წელია და ეს ჩავარდნა აუცილებლად უნდა დავძლიოთ. მით უმეტეს, ამის ძალა რეალურად შეგვწევს“.

მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს გოგონათა ნაკრებიც გამოვიდა და არცთუ შთამბეჭდავად, მაგრამ სალუქვაძე ამ სამეულის გარჯით მაინც კმაყოფილია — გოგონებმა იმაზე უკეთ ისროლეს, ვიდრე ველოდით. საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენებ შედეგს რვა ქულით გადააჭარბეს. მათთვის მთავარი საშეჯიბრო გამოცდილებაა. რაც შეიძლება მეტ ტურნირზე უნდა ვატაროთ. პეკინის ციკლში ვერა, შემდეგი ოლიმპიადისთვის კი ნამდვილად შეძლებენ ბრძოლას“.

ოთარ მაღლაკელიძე

ჩოგბურთი

მარი პირსმა პირი მოალო

AFP სან დიეგოდან

კაცები
სოპოტი. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 500 000 $

მეორე წრე

კარლოს ბერლოკი (არგენტინა) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 5:7 7:5 6:0; **ოლივიე მარახი** (ავსტრია) — გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) 5:7 6:4 7:6; **ფილიპო ვოლანდრი** (7, იტალია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:3 3:6 6:4

კაცები
ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

მეორე წრე

ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:7 7:6 6:4; **დენის გრემელმაირი** (გერმანია) — ბიორნ ფაუ (13, გერმანია) 6:4 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (5, სლოვაკეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 4:6 6:4 6:3; **ენდი მიურეი** (8, ბრიტანეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:4 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (12, ესპანეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:4 6:4; **მარდი ფიში** (16, აშშ) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:4 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (7, რუსეთი) — ედგარდო მასა (ჩილე) 3:6 6:1 3:3 *(უარი)*; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (კორეა) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 6:4; **ჟან-მიშელ გემბილი** (აშშ) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 2:6 6:3 6:0

ქალები
სან დიეგო. აშშ. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:1 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 7:6; **ფლავია პენეტა** (12, იტალია) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:2 7:6; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ნადია პეტროვა (3, რუსეთი) 6:3 6:7 6:2; **ანა ივანოვიჩი** (14, სერბეთი) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:3 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:2 6:4; **პატი შნიდერი** (5, რუსეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:4 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ეშლი ჰაკლროუდი (აშშ) 6:2 6:2; **მარი პირსი** (6, საფრანგეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 6:7 7:6; **ემა ლეინი** (ფინეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:7 7:6 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:3 7:6

ენდი მიურეის ახალი მწვრთნელის დარიგებები აშკარად წაადგა და ძალიან შთამბეჭდავადაც ითამაშა. მწვრთნელი კი, იცოცხლეთ, ძლიერი ჰყავს — კიდევ ერთი ენდის, ოღონდ როდიკისა და თვით ანდრე აგასის ყოფილი დამრიგებელი ბრედ გილბერტი. სწორედ ამ კაცის დამსახურებაა ენდიბოის ალმავლობა და როდიკის დაღმასვლაც სწორედ რომ გილბერტთან დაშორებას დაემთხვა.

მიურეის უკვე დაეტყო კიდეც გილბერტის ხელი. მოგეხსენებათ, რომ როდიკი თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთი უძლიერესი მოეისეა, რაშიც მისი ყოფილი მწვრთნელის დამსახურება ძალიან დიდია. ეს გუშინ მიურეიმაც დაამტკიცა, რომელმაც გილბერტის დახმარებით გამოასწორა მოწოდება და 13 ეისი ჩაუგდო რამონ დელგადოს. ენდის არც სხვა მხრივ მისჭირვებია და მესამე წრეშიც გავიდა. ასე რომ, ახალგაზრდა შოტლანდიელი აშკარად საიმედო ხელშია.

ლეიტონ ჰიუიტმა წლეულს პირველად იხეირა ამერიკულ ჰარდზე. მოგეხსენებათ, ავსტრალიელმა წინა კვირას უსახელოდ, პირველივე წრეშივე წააგო. ამ „დიდებული" მიღწევის გამეორებასთან ოზი ამჯერადაც ახლოს იყო, როცა მასპინძელ სპადეასთან სეტი ჰქონდა წაგებული, მეორე პარტიაში კი საქმე ტაი ბრეიკამდეც მივიდა. თუმცა აქ ლეიტონის კლასი გადამწყვეტი აღმოჩნდა და ანგარიშიც გათანაბრდა. ჰიუიტმა გადამწყვეტ სეტშიც ბლომად იწვალა, მაგრამ მაინც მოიგო და მესამე წრეშიც გააღწია.

პოტომაკის სანაპიროზე მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთი დმიტრი ტურსუნოვია გამოსაყოფი, რომელიც სტაბილურად თამაშს განაგრძობს, თუმც ამჯერად რუსს ძალიან გაუმართლა, რადგან ედგარდო მასა თანაბრად ებრძოლა, მაგრამ ჩილელს ბედმა უმუხთლა — ტურსუნოვთან ტოლსწორად მეომარმა სამხრეთამერიკელმა ფეხი ამოიბრუნა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

სოპოტში კი ამინდმა აურია და მხოლოდ სამი თამაშის ჩატარება მოესწრო. თუმც ერთი დიდი სენსაცია მაინც ვნახეთ. გასტონ გაუდიო კარგად მარტო სათიხნარო სეზონის დროს თამაშობს, ხოლო წლის დანარჩენ პერიოდში მის ჩოგნის ქნევას წვალება უფრო ჰქვია. წლეულს არგენტინელმა ეს სათიხნარო სეზონიც ძალიან ცუდად გალია და ეგრევე საზიზღრადაც ამთავრებს. გაუდიო ამჯერად ოლივიე მარახმა დაამწუხრა, რომელმაც თავის ცხრაწლიანი კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

სან დიეგოში კი უკვე ყველა ფავორიტი გავიდა კორტზე. განთესილებმა გუშინ გასაოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს და თითქმის უდანაკარგოდ, თან ზედმეტი პრობლემების გარეშე მესამე წრეში გავიდნენ. ერთადერთი ვინაც მეორე წრის ბარიერს ვერ გასცდა, ნადია პეტროვა იყო.

ისე, ეს მაინცდამაინც არავის გაჰკვირვებია, რადგანაც პეტროვა წლეულს „როლან გაროსამდე" გამოიყურებოდა კარგად, მერე კი ხეირიანი არაფერი უქნია. ანა ჩაკვეტაძისთვის კი ეს გამარჯვება ძალიან ძვირფასია. პეტროვას დონის ჩოგბურთელი ანას აქამდე მხოლოდ ერთი, ანასტასია მისკინა ჰყავდა დამარცხებული.

სამაგიეროდ, მოიგო ექვსი თვის განმავლობაში კორტზე პირველად გასულმა მარი პირსმა. თუმც წაგებას ბეწვზე გადაურჩა. არადა, სან დიეგოს შარშანდელმა ტრიუმფატორმა ძალიან მაგრად დაიწყო — ფრანგს ტრავმების გამო ავსტრალიის ღია პირველობის მერე არ ეთამაშა და ჩოგნაობას მონატრებულმა პირველი სეტი უბრალოდ იფრინა. პირსს მეორე პარტიაშივე უნდა მოეთავებინა საქმე, რადგანაც სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მარიმ ერთის გამოყენებაც ვერ მოახერხა და საქმე გადამწყვეტ სეტამდე მიიყვანა. აქ კიდევ ტაი ბრეიკი იყო, სადაც პირსს მოგებაცა და წაგებაც თანაბრად შეეძლო, მაგრამ მაინც გაუმართლა და კალიფორნიაში ჩოგნაობას ძინიმუმ კიდევ ერთი მატჩი გააგრძელებს.

„ძალიან კარგია კორტზე დაბრუნება. თამაში მომენატრა... დღეს ვალდებული ვიყავი, ორ სეტში მომეგო, მაგრამ არ გამოვიდა. თუმც ბედნიერი ვარ, საერთოდ მოგება რომ შევძელი" — ყურებამდე გაღიმებული ხარობდა პირსი ნამატჩევს.

ჟუსტინ ენენ-არდენის არყოფნაში კიმ კლაისტერსის მომრევი არავინ ჩანს. ფუმფულა ბელგიელმა ამჯერადაც ძალიან კარგად ითამაშა და სამანტა სტოსურს სულ რაღაც 52 წუთში გაუსწორდა. კლაისტერსს შემდეგ წრეში სერბ იანკოვიჩთან ელის შეხვედრა და საეჭვოა, თავისი სვლა აქ შეაჩეროს.

მოიგო ელენა დემენტიევამაც, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ლენას არ უწვალია, რაც მისთვის აგრერიგად უჩვეულოა.

კახა ლომაშვილი

პლაჟის ფრენბურთი

ავსტრიული გეორგიადა მალე დასრულდა


გეორ-რენატომ ავსტრიაში დიდხანს ვერ გაძლო

მოგებით კი დაიწყო, მაგრამ უსახელოდ დასრულდა ავსტრიულ კლაგენფურტში დაწყებული პლაჟბურთაობა ჩვენი ბრაზილიელებისთვის — რენატოც და ჟორჟისთვის. გუშინწინ ჩვენებმა მსოფლიო ტურის მორიგი ევროპული ეტაპის საკვალიფიკაციო წრე გამარჯვებით დაიწყეს. გეორ და გიად წოდებულმა რენატომ და ჟორჟიმ ლატვიელების სამოილოვსა და კლავინსის წყვილს 40 წუთში მოუგეს, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში უცნობ გერმანელებთან კრუგთან და ურბაცკასთან ერთსაათიან ბრძოლაში 1:2 წააგეს. არადა, გეორ და გია ტურნირზე მე-8 ნომრად, ხოლო გერმანელები 24-ე ნომრად იყვნენ განთესილები. კლაგენფურტის ეტაპის ძირითად ბადეშიც კრუგი და ურბაცკა მოხვდნენ.

სანამ ეს ეტაპი დასრულდება და განახლებული მსოფლიო რეიტინგი გამოქვეყნდება, მანამდე რენატო და ჟორჟი მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ მაღლა, 23-ე ადგილზეა არიან, ხოლო მათი საპრიზო მონაგარი 22 500 დოლარია.

ჭადრაკი

დორტმუნდის სუპერტურნირი

28 ივლისი — 6 აგვისტო

მაიკლ ადამსმა ლიდერები გაასამა

სამი თავში

IV ტური

პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)
ლევონ არონიანი (სომხეთი)	0,5:0,5	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1:0	ბორის გელფანდი (ისრაელი)
ბაადურ ჯობავა (საქართველო)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)

ინგლისელმა დიდოსტატმა მაიკლ ადამსმა ებრაელი ბორის გელფანდი დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა და ლიდერებს გვერდით მიუსკუპდა. ახლა დორტმუნდული სუპერტურნირის სათავეში 2,5-2,5 ქულით სამი მოჭადრაკეა მოკალათებული. ისინი უახლოეს მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებენ.

ბაადურ ჯობავამ ერთ-ერთ ლიდერ პეტერ ლეკოს გაუყო ქულა. დებიუტში მოჭადრაკეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს და იერიშებისთვის მოემზადნენ. ქართველმა მარცხენა ფლანგიდან დაარტყა უნგრელს, რამდენიმე ფიგურა გაუცვალა და 22-ე სვლაზე დაუზავდა.

ადამსისა და გელფანდის დაპირისპირება ყველაზე ბოლოს დასრულდა. დიდოსტატებმა სიცილიური პარტია გაითამაშეს და 117 სვლა იბრძოლეს. მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს შეხვედრა, ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ და მე-8 სვლაზე როქი გააკეთეს. იერიშებს თავიდან გელფანდმა მიმართა, ლაზიერის ფლანგიდან მსუბუქი ძალებით დაარტყა ინგლისელს და თამაშიც გაიხსნა. მალე სუსტ ფიგურებს ძლიერებიც წამოეშველნენ, ბრძოლაც უფრო გახელდა და ადამსმა 51-ე სვლაზე პაიკი მოიგო. უმრავლესობაში დარჩენილმა ალბიონელმა უფრო თამამად შეუტია მეტოქეს, უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა და ძვირფასი ქულაც მოიპოვა.

ლაშა გეგეჭკორი

1. პეტერ ლეკო	2,5 ქულა
2. პიოტრ სვიდლერი	2,5
3. მაიკლ ადამსი	2,5
4. ვლადიმერ კრამნიკი	2
5. ლევონ არონიანი	2
6. ბორის გელფანდი	1,5
7. ბაადურ ჯობავა	1,5
8. არკადი ნაიდიჩი	1,5

ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო

პეტერ ვან დენ ჰუბერებელი

AFP ბუდაპეშტიდან

პეტერ ვან დენ ჰუგენბანდი

2 **აგვისტოს** ბუდაპეშტური აუზიდან ორი ოქროს ამომღები რუსები 3-ში საერთოდ უმედლოდ დარჩნენ. კლასიკურ ცურვაში მედლების ერთბაშად ექვსი კომპლექტი კი გათამაშდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების განფავორიტებულმა ნაკრებმა კი ამ ექვს ფინალში მხოლოდ ორი წარმომადგენელი შეაცურა — ერთმა მეექვსე ადგილი დაიკავა, ერთმაც — მეშვიდე. იმითღა თუ ინუგეშებენ თავს, რომ ცურვაში ხელმოცარულებს წყალში ხტომაში შეხვდათ ერთი ვერცხლი — კაცთა შორის მეტრიანი ტრამპლინიდან მალაყეაში ალექსანდრ დობროსკოკმა მეორე ადგილი დაიკავა. პირველი და მისი მომყოლი ოქრო კი ფინელ იონა პუჰაკას ერგო.

3 აგვისტოს აუზიდან ყველაზე მეტი მედალი ბრიტანელებმა ამოიღეს — ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო, ოქროზე კი ნურას უკაცრავად, სხვებმა არ დაანებეს. ორი ოქრო მოინაგრეს ფრანგებმა, ხლოლო გერმანელმა ქალბატონმა ბრიტა შტეფენმა ევროჩემპიონობა მსფოლიო რეკორდით შეაფერადა.

უპრესტიჟულეს სახეობაში, თავისუფალი სტილით 100 მეტრ სპრინტში შტეფენმა შანსის წვეთი არ დაუტოვა ევროპის სხვა უსწრაფეს გოგონებს, მათგან უყოჩაღესს წამით, ანუ თითქმის მთელი კორპუსით აჯობა და 100 მეტრი მძლავრი მკლავურით 53,30 წამში გაიდგაფუნა, რითაც 0,12 წამით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. ძველმა რეკორდმა არც ისე დიდხანს გაძლო — ბრიტა სტეფენამდე მსოფლიოს ყველა დროის უყოჩაღეს 100-მეტროსან ქალად ავსტრალიელი ლისბეტ ლენტონი ითვლებოდა, რომელმაც სულ ახლახან, ამა წლის 31 იანვარს მელბურნში 53,42 წამში გაილია ეს დისტანცია.

AFP ბუდაპეშტიდან

ბრიტა შტეფენმა 100 მეტრი რეკორდულად ჩაიგროლა

ცურვა

100 მ. თავისუფალი. ქალები

1 ბრიტა შტეფენი (გერმანია)	53,30
2. მარლენ ველდჰუისი (ჰოლანდია)	54,32
3. ნერი-მედი (ნიანგკოუარა (საბერძნეთი)	54,48

200 მ. თავისუფალი კაცები

1 პეტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია)	1:45,65
2 მა სიმილიანი როსოლინო (იტალია)	1:47,02
3 ფილიპო მანინი (იტალია)	1:47,57

800 მ. თავისუფალი ქალები

1 დორე მონადუ (საფრანგეთი)	8:19,29
2 რებეკა ადლინგტონი (ბრიტანეთი)	8:27,88
3 რებეკა კუკი (ბრიტანეთი)	8:28,40

200 მ. გულაღმა. ქალები

1 ესტერ ბარონი (საფრანგეოი)	2:10,07
2 ირინა ამშნიკოვა (უკრაინა)	2:12,13
3 მელანი მარშალი (ბრიტანეთი)	2:12,17

200 მ. კომპლექსური. კაცები

1 ლასლო ჩეხი (უნგრეთი)	1:58,17
2 ალესიო ბოგიატო (იტალია)	2:00,14
3 ტამაშ კერეკიარტო (უნგრეთი)	2:00,17

100 მ. ბრასი. ქალები

1 ჟანა ხლისტუნოვა (უკრაინა)	1:07,55
2 კრისტო ბელფორი (ბრიტანეთი)	1:07,95
3 აგნეს კოვაჩი (უნგრეთი)	1:08,60

წყალში ხტომა

1 მ. ტრამპლინი. კაცები

1 იონა პუჰაკა (ფინეთი)	425,00
2 ალექსანდრ დობროსკოკი (რუსეთი)	416,60
3 კრისტოფერ საჩინი (იტალია)	415,70

ევროვიჭი ბიბლიოთეკა

როგორც სახლში

რაიკონენისთვის ჰუნგარორინგი შინაური ტრასაა

გასულ უქმეებზე ჰოკენჰაიმში გამართული „გერმანიის დიდი პრიზის“ გათამაშება წარმატებულ აღმოჩნდა „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი პილოტის კიმი რაიკონენისთვის. „ყინულის კაცმა“ მიმდინარე სეზონში პირველი პოული მოიგო და უშუალოდ რბოლაშიც ივარგა — „ფერარელების“ მიხაელ შუმახერისა და ფელიპე მასას შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა და პოდიუმზე შეაბიჯა.

ამ უქმეებზე, უკვე „უნგრეთის დიდი პრიზი“ თამაშდება და რაიკონენი მოუთმენლად ელის „ჰუნგარორინგზე“ გასვლას. „MP4-21 გერმანიაში გაცილებით სწრაფი იყო, ვიდრე წინა რბოლებში. ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ და ახლა ერთი სული მაქვს, როდის გავალ ტრასაზე — განაცხადა კმაყოფილმა კიმიმ და დაამატა — იმედი მაქვს, რომ ისევ პოდიუმისთვის ვიბრძოლებ. უნგრეთის ტრასის მოსახვევების უმრავლესობა ნელია და შესაბამისად, გასწრება ძალიან ძნელია, მაგრამ შარშან მე სტარტზევე შევძელი ორი მეტოქისთვის გვერდის ავლა. ასე რომ, შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, რომ შარშანდელთან შედარებით შეცვლილია პირველი მოსახვევი, რაც აადვილებს გასწრებას, თუმცაღა ძალიან ბევრი რამ, მაინც კვალიფიკაციისას გადაწყდება. ჩემთვის „უნგრეთის დიდი პრიზი“ შინაური რბოლასავითაა — ტრიბუნებზე ყოველთვის ბევრი ფინელია და მე არ მინდა, ისინი გულდაწყვეტილები გავუშვა სახლში“.

სერ ფრენკმა არჩევანი გააკეთა



სერ ფრენკ უილიამსი

ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი, თუმც კი ამჟამად კრიზისში მყოფი გუნდის „უილიამსის“ შეფებმა, სერ ფრენკ უილიამსის თამადობით, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს იმის თაობაზე, თუ ვინ იქნებიან ამ საჯინიბოს პილოტები 2007 წლისთვის.

სერ ფრენკის არჩევანი ფინური წარმოშობის გერმანელ ნიკო როსბერგსა და ავსტრიელ ალექს ვიურცზე შეჩერდა. ისინი ამჟამადაც „უილიამსის“ წევრები არიან — როსბერგი გუნდის ნომინალური მეორე ნომერია, ხოლო ვიურცი ტესტ-პილოტი და სამომავლოდ სწორეს ეს უკანასკნელი დაიკავებს ავსტრალიელი მარკ ვებერის ადგილს, ვისთანაც კონტრაქტის გაგრძელება „უილიამსმა“ გადაიფიქრა.

„უილიამსამდე“ ვიურცი მთელი ხუთი სეზონი — 2001-05 წლებში „მაკლარენის“ ტესტ-პილოტი იყო, ხოლო მანამდე „ბენეტონის“ ღირსებას იცავდა და ამ გუნდის სახელით 1998-2000 წლებში სამი სრული სეზონიც ჩაატარა.

სერ ფრენკ უილიამსმა გუნდში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ალექსი ტესტებზე მშვენივრად მუშაობდა და ბევრს გვეხმარებოდა. გარდა ამისა, ის ძალიან კონკურენტუნარიანია ტრასაზე. მე სულ რამდენიმე პილოტი ვიცი, ვისაც მიხაელ შუმახერისთვის მოუგია და ერთ-ერთი მათგანი, სწორედ ვიურცია. ამავდროულად, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მარკ ვებერს იმ ორი სეზონისთვის, „უილიამსში“ რომ გაატარა. მარკს ერთხელაც არ მოუცია იმის მიზეზი, მის პროფესიონალიზმში რომ დავეჭვებულიყავით. მჯერა, ვებერს წარმატებული კარიერა ექნება“.

AFP ბუდაპეშტიდან

ცურვა უნგრეთში

ბუდაპეშტში, ჟეშის საცურაო კომპლექსში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში. ჯერჯერობით არავინ იცის, რას მოიტანს ბელგიელი ჟორინა პერენტსის ეს ზურგული, იტალიელი მარია მარკონი კი ისე გაუხარებია მესამე ადგილს, რომ მწვრთნელი კინაღამ...



AFP ბუდაპეშტიდან

AFP ბეიჯინგიდან

ოლიმპიური დრო

ეს განთქმული ტიანანმინის მოედანია პეკინში, სადაც ბევრი ცუდიც მომხდარა და ბევრი კარგიც. 2008 წლის ოლიმპიადასთან მიახლოების წამმზომიც სწორედ აქ აყენია, ჩინეთის რევოლუციის მუზეუმის წინ. ოლიმპიადა ორი წლის შემდეგ, 8 აგვისტოს გაიხსნება.

ბუზთა მეუფე

ასოციაციის (ვბა) უმსუბუქეს, ბუზთა წონაში ვენესუელელმა ხუან ლანდეტამ შიგ იოკოჰამაშივე დაამარცხა იქაური კოკი კამედა და მსოფლიო ჩემპიონიც შეიქნა. გამარჯვება აშკარა არ იყო: ორი მსაჯი ერთის წინააღმდეგ.

AFP იოკოჰამიდან

კოპა დელ რეი

პალმა დე მაიორკას წყლებში კვლავაც მიმდინარეობს 25-ე სამეფო რეგატა. ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი თავად გადასცემს თავისსავე დაწესებულ თასს გამარჯვებულ აფროსნებს.



AFP პალმა დე მალიორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალაბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge